ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2013 | №12 (6013) | ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
8 ლარი
სამტომეულის პირველი ტომი




# აკაკი ბობოხიძეს ზუგდიდში კვერცხები ესროლეს



გამგებლის მოადგილის დედა ნაციონალებს ცოცხით მიუვარდა

— გვ. 6 —

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ნაციონალებს პოლიციის დისკრედიტაცია სურთ“

გვ.4



## ხადური მერაბიშვილთან დებატებისთვის მზადაა

გვ.4

## მეგის ქარდავას საქმეს ახალი ბრალდება დაემატა

გვ.3





გვ.4

## შალვა ხაჭაპურიძე: „კრიმინოგენური ფონის გამწვავება მოსალოდნელი არ არის“

# „საქართველოს ყველაზე დიდი ჯაშუში სააკაშვილია!“

მუხროვანელები პრეზიდენტის წინააღმდეგ

გვ.2



## მიხეილ სააკაშვილი: „ქუთაისი პარლამენტის გარეშე მოკვდება“

გვ.5

## დარიალის ხეობაში თერგი აღარ იქნება!

გვ.5



ყაზბეგში 10 ჰესის აშენება იგეგმება

## „საპატრიარქოში უგულავასა და მერაბიშვილის მივარდნები შესასწავლია!“

გვ.6





**6** გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო მოძრაობა იკრძალება

**3** აკაკი მინაშვილი მაია ფანჯიკიძეს პარლამენტში იბარებს

**10** ზვიადაურის ნათესავებმა თანამდებობებიდან გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერეს

**3** სოზარ სუბარი: „პოლიტპატიმრების საქმეები თავიდან უნდა გამოიძიონ“

9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# შალვა ხაჭაპურიძე: „კრიმინოგენური ფონის გამწვავება მოსალოდნელი არ არის“

ნონა ცაბაძე



ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში შალვა ხაჭაპურიძე აფასებს.

***– ბატონო შალვა, დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემა პოლიტპატიმრების განთავისუფლებაა და მოდით ამ ფაქტის შეფასებით დავიწყოთ...***

– გახსოვთ, რომ 2010 წლის ოქტომბერში ჩვენ ჰააგის სასამართლოს მივმართეთ საჩივრით, სადაც ერთ-ერთი თავი გახლდათ იმის შესახებ, რომ ქვეყანაში იყვნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით დევნილი ადამიანები და იმ სიაში ვინც მოხვდა, უმეტესობა ჩვენს სიაშიც არის შეყვანილი. ჩვენ ორი წლის წინაც ვამბობდით, რომ ქვეყანაში იყვნენ პოლიტიკური პატიმრები. ის რომ ჩვენი პოზიცია სიმართლე იყო, დადასტურდა პარლამენტის დადგენილებით, სადაც გაკეთდა სია და დასახელდა პოლიტიკური პატიმრები. რა თქმა უნდა, ეს აუცილებელი იყო ქვეყნისათვის, ვინაიდან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, უდანაშაულო ადამიანები უსამართლოდ იხდიდნენ სასჯელს საპყრობილეებში. თუ სახელმწიფო ამას არ გააკეთებდა, პირველი, არ აღდგებოდა სამართლიანობა და მერე მეორეც, არ დაერქმეოდა თავისი სახელი იმ რეჟიმს, რომელიც 9 წლის განმავლობაში იყო დამყარებული საქართველოში. თუმცა, მე ვთვლი, რომ ამ სტადიაზე არ უნდა გაჩერდეს ყველაფერი, ახლა ეს ადამიანები აპირებენ სასამართლოებს მიმართონ, დაადგინონ თავიანთი უდანაშაულობა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის დადგენილებაში პირდაპირ წერია, რომ ისინი ითვლებიან ნასამართლეობის არმქონედ და გამართლდნენ იმ ჩადენილ დანაშაულებებში, ამის მიუხედავად, მათ პარლამენტმა დაუტოვა უფლება, რომ ადამიანებმა თავიანთი უდანაშაულობა დაადგინონ. ამის უფლება პარლამენტმა დაუტოვა ამ ხალხს და ეს სწორიც არის, ვინაიდან მოგეხსენებათ, ამ პატიმრების უმრავლესობას თავიანთი საქმეები სტრასბურგში აქვს გაგზავნილი, ალბათ, ამ საქმეების გამოტანაც მოხდება და ყველაფრის თავიდან განხილვა. ამაზე არ უნდა გაჩერდეს სიტუაცია, მთავარი არის ის, რომ ეს სისტემა უნდა გასამართლდეს. ის სისტემა, რომელიც არსებობდა და მას უნდა დაერქვას თავისი სახელი. ყველა ამ საქმემ ერთად უნდა მოიყაროს თავი, უნდა გამზადდეს ერთიანი საჩივარი და უნდა გასამართლდეს მთლიანად სისტემა. ამაზე იურისტთა გარკვეული ჯგუფი ვმუშაობთ და ამის შესახებ საზოგადოებას მალე ვაცნობებთ. მიუხედავად ახალი კანონმდებლობისა, რომელიც სააკაშვილის მიერ იქნა მიღებული, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხიც შეიძლება დადგეს, ამა თუ იმ პარტიის, პოლიტიკური ძალის თუ ა.შ. სამართლებრივად ეს შესაძლებელია და დასაშვები.

***– რამდენად არის იმის საფრთხე, რომ კრიმინოგენური ფონი გამწვავდეს, როგორც ამას მიხეილ სააკაშვილი აცხადებს?***

– მე ვფიქრობ, რომ არანაირად არ გამწვავდება. ამ ამნისტიით ერთი მეოთხედი შეეხო ყველა დანაშაულს, აბსოლუტურად ყველას. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ იმ პირობებში, რა პირობებშიც ამ ადამიანებს უწევდათ სასჯელის მოხდა, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ განაჩენების 90% უსამართლო განაჩენები იყო, ამ ადამიანების მიმართ ციხეებში ხორციელდებოდა წამება და არაადამიანური მოპყრობა. ამის უამრავი ფაქტი არსებობს. რაც შეეხება კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავებას, ეს ვერ მოყვება ამას, ვინაიდან პოლიცია ბევრად გააქტიურებულია, მუშაობს კარგად. ელემენტარულად, ქუჩაში სიარულის დროსაც ვატყობთ ჩვენ, რომ მოიმატა პატრულის ავტომანქანებმა, მოიმატა პოლიციელთა რაოდენობამ, პოლიცია მობილიზებულია და ყველანაირად მზად არის. დანაშაული ხდება ყველა სახელმწიფოში. ილია ჭავჭავაძესა აქვს ნათქვამი თავის დროზე, რომ სანამ არსებობს ადამიანი, სანამ არსებობს სახელმწიფო, მანამ იქნება დანაშაული და მანამ იქნება ამ დანაშაულზე რეაგირება. ასე რომ, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო, თუ ვინმე რაიმეს გააფუჭებს და ჩაიდენს, შესაბამისად მის მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი და საკმაოდ მკაცრიც. მით უმეტეს, იმ ადამიანებზე, ვინც შეწყალებით და ამნისტიით არის გამოსული. ვინაიდან პოლიცია არის მობილიზებული, პროკურატურა არის მობილიზებული, მე ვერ ვხედავ იმის საშიშროებას, რომ აქ რაიმე დანაშაულის განსაკუთრებულ ზრდასთან გვექნება საქმე. საზოგადოება ამ მხრივ მშვიდად უნდა იყოს, პოლიციის მუშაობაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ასევე იმ ადამიანების თვითშეგნებაზე, ვინც გარეთ გამოვიდნენ და გათავისუფლდნენ. პოლიტპატიმრები რომ დანაშაულს არ ჩაიდენენ, ამაში ეჭვი არ მეპარება, ხოლო რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვისაც ამნისტია შეეხო, მათგან ძალიან ბევრს ვიცნობ, ბევრი მათგანი ჩემი კლიენტია და მეეჭვება, რომ რაიმე დანაშაულზე ფიქრობდნენ ისინი.

***– რამდენად შეეცდება სააკაშვილი, რომ ხელოვნურად გაამწვავოს ეს სიტუაცია? ამის გამორიცხვაც ხომ არ შეიძლება?***

– საინტერესო კითხვაა და რატომ, ახლა გვარებს ვერ დავასახელებ, ძალიან სენსიტიური მომენტია, მაგრამ ინდივიდუალური შეწყალებებით სააკაშვილის მიერ გარეთ არის გამოშვებული, ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში, ისეთი კონტინგენტის ადამიანები, რომ ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც კი დავრჩი, ასე ვთქვათ, გამოშვებულია საკმაოდ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები, მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, თავს შევიკავებდი ზოგიერთი მათგანის შეწყალებისაგან. აქ არის საუბარი მკვლელობაზე, გაუპატიურებასა და ასე შემდეგ. სააკაშვილის დღევანდელ გამოსვლებს თუ უსმენთ, როგორი წინააღმდეგია ეს კაცი თანაარსებობის, როგორი გაოგნებულია და დღემდე არ უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ წააგო, რომ ის ყველაფერს აკეთებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რომ ავნოს საქართველოს სახელმწიფოებრიობას. ამის უამრავი ფაქტი არსებობს. ამიტომ პოლიტიკოსმა მართლაც შეიძლება ასეთი შეფასება მისცეს მის ქმედებას, რომ ის მიზანმიმართულად ამწვავებს სიტუაციას ქვეყანაში. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სიტუაცია ხელოვნურად დაიძაბოს. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მთავრობა, კოალიციაში შემავალი პარტიები ამ ყველაფრისთვის მზად არიან, რომ ეს გამოწვევა მიიღონ და უფრო მეტიც, ყველაფერს აკეთებენ, რომ შენარჩუნებულ იქნას სტაბილურობა და არ მოხდეს ქვეყანაში ისეთი მოვლენების განვითარება, რამაც შეიძლება მასობრივი არეულობა გამოიწვიოს. სამწუხაროდ, ეს სახელმწიფოებრივი მიდგომა არა აქვს გათვითცნობიერებული ნაციონალურ მოძრაობას და ამ პოლიტიკური ძალის წაგებას უნდათ გადააყოლონ მთელი ქვეყანა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ სააკაშვილი ამას არც მალავს. პირდაპირ იკვეთება ფაქტები, როდესაც სასამართლოებზე კვლავ გრძელდება მათი ზეგავლენა, კვლავ გრძელდება სასამართლოს დამორჩილების პოლიტიკა და სასამართლოებიც მეტწილად კვლავ მათი ზეგავლენის ქვეშ არის. ამიტომ აქაც საკონსტიტუციო ცვლილებებია განსახორციელებელი, რომ მოხდეს ქვეყანაში ნორმალური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამოუკიდებელი სასამართლოს გარეშე სახელმწიფო ვერ შედგება. ეს აუცილებლად განსახორციელებელია და სასამართლო რეფორმაა გასატარებელი. ამის პოლიტიკური ნება ახალი ხელისუფლების მხრიდან არის და ჩვენ ამ საკითხშიც მივაღწევთ გამარჯვებას.

***– საპატრიარქოში შემდგარ შეხვედრას რაც შეეხება, გვერდიგვერდ ვიხილეთ პრემიერი და პრეზიდენტი, რამაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თქვენი შეფასება როგორი იქნება?***

– როგორც ჩანს, პატრიარქს მიწვეული ჰყავდა როგორც პრემიერი, ისე პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტი. ბუნებრივია, მოხდა ეს შეხვედრა, ბუნებრივი მოვლენა იყო, ხელი ჩამოართვეს. ნახეთ თქვენ, რომ პრემიერმა ამ შემთხვევაში მოზომილად და გაწონასწორებულად იმოქმედა და ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო თანაარსებობისკენ გადადგმული, არ მიყვარს სიტყვა კოჰაბიტაცია და ამას შეგნებულად არ ვხმარობ. პრემიერმა ეს წელიწადი სიყვარულის წლად გამოაცხადა, რაც მისი მხრიდან ნიშნავდა იმის გაჟღერებას, რომ ქვეყნის მიზნების განსახორციელებლად აქცენტები ურთიერთსიყვარულზე გააკეთა. სააკაშვილმა კი განაცხადა, რომ უერთდებოდა ამას, თუმცა დიდი სიხარულით არ გაუკეთებია ეს. თუნდაც რამდენიმე დღის წინ გაკეთებული მისი განცხადება, რომ სამეგრელოში გადავა საცხოვრებლად, მე ამაში ვხედავ იმ ნაბიჯებს, რა გეგმაც ჰქონდა სააკაშვილს თავის დროზე, არჩევნების წინ, ანუ, თუ შეხედავდნენ ისინი, რომ არჩევნებს აგებდნენ, მაშინ პირველ რიგში უნდა მომხდარიყო შეხლა– შემოხლა და იგი აპირებდა დასავლეთ საქართველოში გადაბარგებას და იქიდან ყვირილს იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება რუსეთის მომხრე ძალებმა ჩაიგდეს ხელში და ასე შემდეგ, მაგრამ არ გამოუვიდათ. გახსოვთ ხაშურის მომენტი, გახსოვთ თეთრწყაროში ყუთების გატაცების მომენტი და სხვადასხვა რაიონებში ხელოვნურად შექმნილი დაძაბული მდგომარეობა. ეს არ გამოუვიდა მას, ახლა გუნავა დანიშნა გუბერნატორად, როგორც თვითონ თქვა, გადადის სამეგრელოში და ალბათ მისი გეგმაა, რომ იქიდან სიტუაციის არევას შეეცადოს. მისი გეგმაა, რომ დევნილის როლში აღმოჩნდეს.

***– რამდენად გამოუვა ეს?***

– გეტყვით, რომ მისი ეს მცდელობა უშედეგო იქნება. სამეგრელოს მოსახლეობას კარგად აქვს გათვითცნობიერებული და გათავისებული სააკაშვილის იმ უაზრო პოლიტიკის შედეგი, რასაც ჩვენ წლების განმავლობაში ვხედავდით და მისი ეს მცდელობაც უშედეგოა. საპატრიარქოში შემდგარი შეხვედრაც არ ნიშნავდა იმას, რომ პრემიერი და პრეზიდენტი შერიგდნენ და ამით დამთავრდა ყველაფერი. პრემიერის პოზიცია არის ცალსახა, ყველაფერი უნდა განხორციელდეს კანონმდებლობაზე დაყრდნობით. კი ბატონო, თუ ვინმეს დანაშაული აქვს და აღიარებს, მას მიეტევოს და ეპატიოს. ბევრი ჩინოსანი იყო ამ რეჟიმის მსხვერპლი, ისევე, როგორც რიგითი ადამიანები, მაგრამ ის მაღალჩინოსნები, ვინც ამ ყველაფრის ორგანიზატორები იყვნენ და ქვეყანას ამ უბედურებაში გააყოფინეს თავი, რა თქმა უნდა, ისინი უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე, რადგან საზოგადოების შეკვეთაა ასეთი და არავინ არ აპირებს ხალხის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას. დღევანდელი ხელისუფლება პრეტენზიას აცხადებს და სწორადაც აცხადებს, რომ ის სახალხო მთავრობაა და სახალხო ხელისუფლებაა და ხალხის ნების გამომხატველად გვევლინებიან ისინი ჩვენ.

# „საქართველოს ყველაზე დიდი ჯაშუში სააკაშვილია!“

## მუხროვანელები პრეზიდენტის წინააღმდეგ

გულიკო ბალაძე

გუშინ მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებულებმა კობა ოთანაძემ და ლევან ამირიძემ არასამთავრობოთა გაერთიანება „ჩვენი უფლებებისათვის“ თავმჯდომარე დავით ლილუაშვილთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს და უპასუხეს კითხვებს მიხეილ სააკაშვილის მიერ მოგონილ „აჯანყებასთან“ დაკავშირებით.

დავით ლილუაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ე.წ. მუხროვანის ამბოხში ბრალდებული ბატონო კობა ოთანაძე ღუდუშაურის კლინიკიდან მე-8 საპყრობილეში გადაიყვანეს, მას შეუცვივდნენ ძალოვნები და ფიზიკური ანგარიშსწორება მოუწყვეს.

– ე.წ. მუხროვანის ამბოხის როგორც რეჟისორი, ისე სცენარისტი თვითონ მიხეილ სააკაშვილი იყო. გაიხსენეთ კადრები, როგორ ემუქრებოდა სააკაშვილი უდანაშაულო სამხედრო პირებს, აღიარეთ, რომ დაიქოქა ტანკებიო. არადა, არანაირი ტანკები არ დაქოქილა. ეუბნებოდა, აღიარეთ, რომ აწყობით ამბოხსო, როცა რეალურად არანაირი ამბოხი არ ყოფილა, – განაცხადა დავით ლილუაშვილმა.

ლევან ამირიძემ ისაუბრა იმ ვითარებაზე, რომელიც რეალურად წინ უსწრებდა იმ სპეცოპერაციას, რომელიც სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ჩაატარა ვითომდა ამბოხის ჩასახშობად.

ლევან ამირიძის განცხადებით, ამბოხი კი არა, სამხედრო მოსამსახურეების პროტესტი, უკმაყოფილება იყო იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ახორციელებდა მათ მიმართ.

– იმ პერიოდში კობა ოთანაძე მოქმედი სამხედრო აღარ იყო. მე ვიყავი მოქმედი სამხედრო. ეს იყო სპეცოპერაციების დაჯგუფების რეინჯერთა ბატალიონი თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში. პროტესტი ძირითადად ცხინვალის ომის შემდეგ დაიწყო. თავდაცვის სამინისტრო, ფაქტობრივად, შს სამინისტრომ გადაიბარა და მიმდინარეობდა სამხედრო მოსამსახურეებზე, ოფიცრებზე, მეთაურთა შემადგენლობაზე, რიგით ჯარისკაცებზე კონტროლი და ზეწოლა. ხდებოდა სამხედროების დაბარება კუდსა და სოდში და მათი „დავერბოვკება“. აინტერესებდათ, შეიარაღებულ ქვედანაყოფში როგორი პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რა მოსაზრების იყვნენ მეთაურები, ოფიცერთა და რიგითი შემადგენლობა. სამხედრო მოსამსახურეები აგენტებად უნდოდათ ექციათ. ეს იწვევდა ჩვენს პროტესტსა და უკმაყოფილებას.

ამას დაემატა ის, რომ 26 მაისი ახლოვდებოდა და იწყებოდა წინასაალღუმო მზადება. იმ პერიოდში ჩვენ ნამდვილად არ გვეზეიმებოდა. ყველამ ნახა, 26 მაისს როგორ აქცია მიხეილ სააკაშვილმა შეიარაღებული ძალები თავის სატაშფანდურო შპს საზოგადოებად, ვნახეთ გვამებზე გადავლილი მაღალჩინოსნები, როდესაც სახურავზე შემოაწყვეს უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანები. იმ პერიოდში მიტინგები მიმდინარეობდა. ფაქტობრივად, პარალიზებულ იყო პარლამენტის შენობა. ხალხი თავის პროტესტს გამოხატავდა და იყო დიდი ალბათობა იმისა, წინა საალღუმოდ ის ხალხი დაერბიათ, რითაც გამეორდებოდა 2009 წელს ის, რაც შემდეგში წარმატებით დაასრულა მიხეილ სააკაშვილმა. ეს იყო ჩვენი პროტესტის მიზეზი, რის გამოც უარი განვაცხადეთ აღლუმში გამოსვლაზე. საალღუმო განცდა არ იყო.

– თქვენი პროტესტის შემდეგ ხელისუფლების მოქმედება როგორი იყო?

– ჩვენი პროტესტის შემდეგ მუხროვანის სამხედრო ბაზა ალყაში მოაქციეს. იქაც ჰქონდა ადგილი პროვოცირებას. ჩვენს პროვოცირებას ცდილობდნენ, რომ მომხდარიყო რაღაც გაუთვალისწინებელი. დიდი შანსი იყო, იქ ვიღაცას პროვოკაციულად ტყვია გაესროლა და ველარავინ გაარკვევდა, პირველმა ვინ გაისროლა. რაც მოჰყვებოდა გასროლას, ალბათ, ყველა ვხვდებით. მებრძოლების ერთმანეთთან დაპირისპირებას ცდილობდნენ.

– მებრძოლების დაპირისპირება რატომ უნდოდათ?

– მებრძოლების ერთმანეთთან დაპირისპირება უნდოდათ, რომ შეექმნათ ამბოხის შთაბეჭდილება, დაედგათ სპექტაკლი, თითქოს მართლა ამბოხი ხდებოდა და ეს არ იყო მხოლოდ პროტესტი. აგვისტოს ომიდან ერთი წელი იყო გასული. სატანკო ბატალიონის მეთაური ჩემი მეგობარი იყო.

– სააკაშვილმა განაცხადა, რომ სატანკო ბატალიონის მეთაურმა დაურეკა და უთხრა, გადამდგარიყო, რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს?

– სააკაშვილის ბევრი ტყუილი მოგვისმენია. სააკაშვილის ეს განცხადება არის ტყუილი. სააკაშვილი ის კაცი არ არის, რომ ვინმეს დაერეკა და დალაპარაკებოდა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მეგის ქარდავას საქმეს ახალი ბრალდება დაემატა

შორენა კოწოწაშვილი

მთავარი პროკურატურა სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნების და არა მხოლოდ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას განაგრძობს და საზოგადოებას თანდათან აწვდის ინფორმაციებს იმ საშინელი და ძალადობრივი ფაქტების შესახებ, რომლებიც, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ ხდებოდა.



მართალია, დღეს სააკაშვილის გუნდის წევრები და ნაციონალური მოძრაობის ე.წ. ფეისი სახეები ამტკიცებენ, რომ მათი ხელისუფლების პირობებში „კანონიერი ქურდები" დამარცხდნენ, კორუფცია დამარცხდა, დანაშაულმა იკლო, ნარკოტიკების ჩადება არ ხდებოდა, პატიმრებზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სამოქალაქო და ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის აქტიურობით, ფაქტია, საქართველოს მოსახლეობამ ძალიან კარგად იცოდა იმ საშინელებათა შესახებ, როცა ყოფილი ხელისუფლება საზოგადოებაზე ძალადობდა.

სააკაშვილის ნება-სურვილის ერთ-ერთ უსიტყვო აღმსრულებლად ბაჩო ახალაია იყო მიჩნეული, რომელსაც პრეზიდენტმა წარმატებული კარიერა შეუქმნა იმ სისასტიკისა და არაადამიანიური ქმედებისთვის, რომელიც გლდანის ეკლესიის დარბევით დაიწყო და თავდაცვის სამინისტროში გაგრძელდა. თუმცა, ახალაიას სისასტიკე ყველაზე მეტად მაინც სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელობის დროს გამოიკვეთა, როდესაც, პატიმრების განცხადებით, მაღალჩინოსანი ბაჩო ახალაია პირადად უსწორდებოდა პატიმრებს ფიზიკურად. სხვათა შორის, სახალხო დამცველის აპარატის ყოფილი წარმომადგენელი პირად საუბრებში იმასაც აფიქსირებდა, რომ ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრობის პერიოდშიც შედიოდა გლდანის ციხეში ნიღბით და პატიმრებს ურტყამდა.

ბაჩო ახალაიასთან ერთად სისასტიკით გამოირჩეოდა მეგის ქარდავა, რომელიც ახალაიების კლანის გამოკვეთილი ფიგურაა და რომელიც, თეა თუთბერიძის მიერ დემეტრე თავდადებულად მონათლულ ბაჩო ახალაიასთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო ციხის ბუნტის პროვოცირებაში.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ციხის ბუნტი „კანონიერ ქურდებს" დაბრალდათ, არადა, იმავე სასამართლო პროცესზე, რომელზეც მოწმის სახით როგორც ბაჩო ახალაია, ისე მეგის ქარდავა დაიკითხნენ, გამოიკვეთა, რომ „კანონიერ ქურდებთან" სწორედ მეგის ქარდავა შევიდა, რომელმაც ერთ-ერთ ქურდს თმა მოაჭრა და ამით გამოიწვია ჩხუბის პროვოცირება. ეს ყველაფერი კი შემდგომში პატიმრების მასობრივ პროტესტში გადაიზარდა.

სასჯელაღსრულების სისტემაში მეგის ქარდავას დანაშაულებრივი მოღვაწეობის შესახებ არაერთი ადვოკატი საუბრობდა. თუმცა, როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, აქაც სააკაშვილის პროკურატურა დანაშაულს არ ხედავდა, რითაც, თავის მხრივ, ქარდავას ულირს და დანაშაულებრივ საქმიანობას ახალისებდა.

აღსანიშნავია, რომ წინა ხელისუფლებამ მაქსიმალურად იზრუნა მეგის ქარდავასა და ბაჩო ახალაიას იმიჯზე და „ციხის ბუნტის" სასამართლო პროცესი მაქსიმალურად დახურა, რათა პრესისთვის საჯარო არ გამხდარიყო დეტალური ინფორმაცია, რა მოხდა რეალურად „ციხის ბუნტის" დროს და რა სახის ჩვენებები მისცეს მათ ამაზე.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას გადაყვანის შემდეგ მეგის ქარდავა, თავისი მარჯვენა ხელი, ახალაიამ თავდაცვის უწყებაში გადაიყვანა. ქარდავა არც აქ გამოირჩეოდა კანონის შესაბამისად, თუმცა იმ დროს მის წინააღმდეგ იმ სახის ინფორმაციები არ ჟონავდა, რაც მთავარმა პროკურატურამ გაახმაურა.

უფრო კონკრეტულად კი არჩილ კბილაშვილის უწყებაში აცხადებენ, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროს მეგის ქარდავას დავალებით ამავე დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელ მამაკაცებს ცნობად მამაკაცებთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებას აიძულებდნენ.

ამის შესახებ პირველი განცხადება გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს ხათუნა პაიჭაძის მიერ გაკეთდა.

— თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი პირების მიერ მოქალაქეთა მიმართ ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე. საუბარია სს კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე. გამოძიებით დადგენილია, რომ მეგის ქარდავას დავალებითა და ორგანიზებით ამავე დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებულ მამაკაცებზე ინფორმაციას აგროვებდნენ, ფარულად და უკანონოდ იღებდნენ მათი პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეომასალას, რის შემდეგაც კომპრომეტაციის მუქარით მათ აშანტაჟებდნენ და სპეციალურ სამსახურებთან ფარულ თანამშრომლობას აიძულებდნენ. უკანონოდ გადმობირებული კონფიდენტები, თავის მხრივ, ურთიერთობას ამყარებდნენ სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებულ საზოგადოებისთვის ცნობად მამაკაცებთან, ისე, რომ ამ უკანასკნელებმა კონსპირაციის შესახებ არ იცოდნენ. კონფიდენტებს ისინი სახელმწიფოს ოპერატიული სახსრებით დაქირავებულ ბინებში მიჰყავდათ, რომლებიც წინასწარ იყო აღჭურვილი უკანონო ფარული სათვალთვალო აუდიო-ვიდეოაპარატურით, — განაცხადა ხათუნა პაიჭაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ დროისთვის დადგენილია სამი ასეთი ბინა. აღნიშნულ ბინებში სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნების მიერ იძულებით გადმობირებული კონფიდენტები წინასწარ შერჩეულ პირებთან სექსუალურ კავშირს ამყარებდნენ, რის შემდეგაც ფარული ჩანაწერები უშუალოდ მეგის ქარდავას გადაეცემოდა.

— მოგვიანებით, იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო გადაღებული ვიდეომასალის განსაჯაროება, ფაქტიური შანტაჟის პირობებში კონსპირაციის მსხვერპლი მამაკაცი თანხმდებოდა იმაზე, რომ თავისი ლოიალური დამოკიდებულება არსებული პოლიტიკური რეჟიმის მიმართ გამოემჟღავნებინა და მონაწილეობა მიეღო ყოფილი ხელისუფლების პოპულარიზაციის მიზნით მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროკურატურის მიერ ამ ეტაპზე მოპოვებულია რამდენიმე ასეთი უკანონო ჩანაწერი, თუმცა, გამოძიების მონაცემებით, რამდენიმე ათეული მსგავსი მაკომპრომეტირებელი ფარული ჩანაწერი არსებობს. გამოძიების მიერ უკვე დადგენილ ფაქტებთან და კავშირებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის სამი პირი, — განაცხადა ხათუნა პაიჭაძემ.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა განაცხადა, გამოძიებამ ისინი დააკავა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მათი დაპატიმრების შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მოსამართლე გიორგი არევაძემ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით 20.000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის მეგის ქარდავას ბრალი წაყენებული არ აქვს. ქარდავა და მისი დამცველი ნაცელიტა, ბუნებრივია, ამ ამაზრზენ ფაქტებს უარყოფს, თუმცა სააკაშვილის გუნდის წევრებს აშკარად გაუჭირდებათ საზოგადოების ამის საწინააღმდეგოში დარწმუნება. იმედია, თუთბერიძე და მისი მსგავსი თავგადაკლული ნაციონალები ქარდავასაც, ბაჩო ახალაიას მსგავსად, რომელიმე სახელოვან ქართველ არ შეადარებენ და მის პოლიტიკურ დევნაზე არ ალაპარაკდებიან. მსგავსი განცხადებების შემთხვევაში, ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოება სათანადოდ შეაფასებს მეგის ქარდავას, როგორც მაღალჩინოსნის საქციელს და სათანადო ადგილს მიუჩენს ავანტიურისტ პოლიტიკოსებს, რომლებმაც სისხლიანი პოლიტიკით „დასავლეთის" გულის მოგება პრეზიდენტის ომახიანი განცხადებებითა და ძვირადღირებული პიარკამპანიების დახმარებით მოახერხეს.

# „საქართველოს ყველაზე დიდი ჯაშუში სააკაშვილია!"

დასაწყისი მე-2 გვერდზე

— სააკაშვილი ამბობდა, წარმოიდგინეთო, რომ პირადად პრეზიდენტს ურეკავენ და ემუქრებიან, ამ დროს საპასუხო რეაქცია ხომ უნდა ჰქონდესო.

ამაზე დავით ლილუაშვილმა განაცხადა:

— საიდან უნდა სცოდნოდა სატანკო ბატალიონის მეთაურს მიხეილ სააკაშვილის ტელეფონის ნომერი და როგორ ისაუბრებდა მასთან? მაშინ პროტესტს ჰქონდა ადგილი და სწორედ ეს ვერ აიტანა ზოგიერთმა სამხედრო მეთაურმა.

შევეცადეთ, გაგვერკვია, თვითონ ლევან ამირიძეს თუ იბარებდნენ კუდში და თუ ცდილობდნენ მასზე ზეწოლასა და „დავერბოვკებას", რაზეც მან გვიპასუხა:

— მე არა, მაგრამ დღეს იქ არიან ადამიანები, რომლებსაც იბარებდნენ და უწყობდნენ არაოფიციალურ დაკითხვებს, ახდენდნენ ზეწოლას.

— ზეწოლა როგორ ხორციელდებოდა?

— ზეწოლას ხორციელდებოდა იმ სახით, რომ ამ ბიჭებს იბარებდნენ და ეუბნებოდნენ, წარმოგიდგენიათ და აზრზე ხართ, სად იმყოფებითო? იცით, რა სამსახურში ხართ მოსულები და გააზრებული გაქვთ, რის გაკეთება შეგვიძლიაო?

— რა აინტერესებდათ?

— აინტერესებდათ, ჯარში თუ იყო განსხვავებული პოლიტიკური შეფასებები.

კობა ოთანაძის განცხადებით, ხელისუფლებას უნდოდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების, ხალხის პროტესტის, მიტინგების გადაფარვა. ამისთვის კი საჭირო იყო, როგორც ხალხის, ასევე სამხედროების დაშინება.

— ეს იყო პროვოკაცია და სპეციალურად დადგმული სპექტაკლი, რომ ხალხი დაეშინებინათ. იცოდნენ, რომ 26 მაისისთვის ძალიან ბევრი სამხედრო არ გამოვიდოდა, რადგან არ უნდოდათ აღლუმში მონაწილეობა და დადგეს ეს სპექტაკლი. წინა დღეს ლევან ამირიძის უფროსი და სხვა ოფიცრები დაიჭირეს. ამირიძეზე იყო ზეწოლა. მათ გადაწყვიტეს, მუხროვანში გაეკეთებინათ განცხადება და გადამდგარიყვნენ. როდესაც მე გავიგე, პროტესტი მზადდებოდა, მინდოდა გამომეყვანა ისინი, რომ იქ არ მომხდარიყო შეტაკება. როცა მუხროვანში ავედი, უკვე ალყა ჰქონდათ შემორტყმული. ალბათ, გაუხარდათ კიდეც, იქ ჩვენც რომ მოვხვდით. რომ არ დაძაბულიყო მდგომარეობა და სამხედრო შეტაკება არ ყოფილიყო, იქაურობას გავერიდე. ჩვენ უიარაღოები ვიყავით. ვერტმფრენები დაფრინავდა. გორგიაშვილი აღარ გამოგვყვა. ვუთხარი, წამოდი-მეთქი. სააკაშვილმა ჩვენი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა ვითომდა ამბოხში მონაწილეობის გამო. მუხროვანში არანაირი ამბოხი არ ყოფილა. ამბოხი რომ მოხდეს, ტანკები უნდა დაიქოქოს, ხალხი უნდა გამოიყვანოს.

— რეალურად, ტანკები არ დაუქოქავთ?

— არა. განცხადებაც არ გაუკეთებიათ. იქ მსგავსი არაფერი ყოფილა. მეთაურობას ასეთი ბრძანება არ გაუცია.

— პროვოკატორები ხომ არ ჰყავდათ, რომლებმაც, შეიძლება თქვეს, მოდით, დავქოქოთ ტანკებიო?

ლევან ამირიძე:

— არა. არანაირი ტანკების გამოყვანა არ მომხდარა.

— ალბათ გახსოვთ, ცნობილი კადრი რომ არის, როცა სააკაშვილი დაკითხვას უწყობს ჯარისკაცს, თქვით, ტანკები ხომ დასძარითო.

კობა ოთანაძე:

— ეს იყო პროვოკაცია.

ლევან ამირიძე:

— ისე, სატანკო ბატალიონის მეთაურს საჯარისო სამსახურის წესდება აძლევს იმის საშუალებას და უფლებას, რომ ყოველდღე, რეგულარულად დაქოქოს ტექნიკა და შეამოწმოს, რა მდგომარეობაშია იგი. ე.წ. ამბოხების თაობაზე 12 საათის „კურიერით" გაიგეს სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებმა. სასამართლოში დაკითხვაზე რომ მოიყვანეს, ყველა აცხადებდა, რომ იმ დღეს იქ წვიმა იყო და 12 საათის „კურიერით" გაიგეს, თურმე მუხროვანის ნაწილში ხდება ამბოხი. ტელეკადრებს თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ სააკაშვილს ჯარი მიჰყავდა ყვითელი ავტობუსებით, „ბიკაპის" ტიპის მსუბუქი ავტომობილებით და რამდენიმე „კობრა". სატანკო ნაწილის ამბოხს ასეთი ყვითელი ავტობუსებით ვერ დაუპირისპირდები. ეს იყო დადგმული. ეს არ იყო ამბოხი. არ მომხდარა არანაირი სამხედრო ტექნიკის მობილიზება. ამბოხი ფართო ცნებაა. ამბოხის შემთხვევაში შეიარაღებული ადამიანები გამოდიან ნაწილის ტერიტორიის გარეთ, ახდენენ სტრატეგიული ობიექტების ბლოკირებას, ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობას. ამას თავისთავად მოჰყვება დიდი მსხვერპლი. ამგვარ ფაქტს საერთოდ ადგილი არ ჰქონია. არც ერთი სამხედრო მოსამსახურე იარაღით ხელში არ გამოსულა. არ მომხდარა არანაირი სამხედრო ტექნიკის მობილიზება თვით სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზეც კი, აგრესია არავის გამოუვლენია. ვაპროტესტებდით მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. ჩვენ ვითხოვთ, რეალურად იქნეს გამოძიებული, რა იყო და როგორ იყო.

— ახლა რას მოითხოვთ?

— ამ ეტაპზე აზრი არ აქვს მიმართვას. დაველოდებით რეფორმას და სამართლიან სასამართლოს. იმედი გვაქვს, რეალურად იქნება გამოძიებული ყველა ის ფაქტი, რომლებიც იყო. ჩვენი დაკავების ოპერაციას უშუალოდ შს მინისტრი ხელმძღვანელობდა.

— გენერალი გია კრიალაშვილი რა ვითარებაში ჩაცხრილეს?

— იმ ოპერაციას სოდის სპეცრაზმი ასრულებდა. აყვანის მომენტში გია კრიალაშვილი მანქანაში ჩემ გვერდით იჯდა. ჩვენ მოვდიოდით მანქანით ქალაქში, უნდა გავსულიყავით. ჩვენი ჩაცხრილვა მანქანაში მოხდა.

— იქ ადგილზე ხელმძღვანელობიდან ვინ იყო?

— ჩაცხრილვის დროს იქ იყვნენ შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, გივი თარგამაძე, ქალაქის მერი გიგი უგულავა. გია კრიალაშვილის მკვლელები უნდა დაისაჯონ.

— დაკითხვების დროს ზეწოლა იყო?

— მე არც დავუკითხივარ. ჩვენება არ მიმიცია.

კობა ოთანაძე ამბობს, რომ ის ადრე ამ სატანკო ბატალიონის მეთაური იყო და ეს ნაწილი იყო მისი ყოფილი ნაწილი. „ჩემი მოადგილე იყო გორგიაშვილი. იმ დროიდან ვმეგობრობდი და არ მინდოდა, რაღაც მომხდარიყო. არ მინდოდა ისეთივე პროვოკაცია მომხდარიყო, როგორიც 2001 წელს მოგვიწყვეს".

— გია კრიალაშვილი და მე ვმეგობრობდით. გია, ფაქტობრივად, წინა დღეს ჩამოვიდა. როგორც კი გავიგეთ, პროტესტი უნდა გამოეთქვათ და გორგიაშვილი უნდა გადამდგარიყო (ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ სამხედროებთან ჰქონდათ კიდევ რაღაც პრობლემები, შეიძლება შეჯახება მომხდარიყო) და უნდა გამოგვერიდებინა, რომ შეჯახება არ მომხდარიყო. უნდა დაველაპარაკებოდით, ისე არ გაეკეთებინათ, რომ ამბოხად ჩაეთვალათ. მოგეხსენებათ, მთელი ქალაქი იყო გადაკეტილი, პროტესტი იყო და ხალხის დაშინების მიზნით მიხეილ სააკაშვილს პროვოკაცია არ მოეწყო. ეს მაინც არ გამოუვიდათ, ისე ვერ მოახერხეს, რომ ჯარის ნაწილებს შორის შეჯახება მომხდარიყო და სისხლი დაღვრილიყო. ჩვენ გვინდოდა, გავრიდებოდით, ველოდებოდით მანქანას, რომელსაც უნდა გავეყვანეთ, მაგრამ ის მანქანა კუდისა და სოდის გამოდგა. იქ უკვე მომზადებულიყო დანაყოფი, რომელმაც ჩაგვცხრილა და გადმოგვყარეს მანქანიდან. იმ დროს დავინახე ვანო მერაბიშვილი, რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობდა. იქ იყვნენ გივი თარგამაძე და გიგი უგულავა.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თარგამაძე ურტყამდა ჩაცხრილულ გია კრიალაშვილს. ამას ადასტურებთ?

— ამას ვერ დავადასტურებ, რადგან მე თვითონაც გადმომაგდეს მანქანიდან და მირტყამდნენ. მას შემდეგ, რაც გადმომაგდეს, დამიხვრიტეს ხელები და ფეხები. ციხის საავადმყოფოში იყო ზეწოლები. მოიტანეს დაბეჭდილი ფურცელი და მეუბნებოდნენ, თუ ვაღიარებდი, ცოტას მომისჯიდნენ, თუ არადა, მომცემდნენ 30 წელს. სხვადასხვანაირი ზეწოლა იყო.

— თქვენ რას მოითხოვთ?

— მინდა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს დიდი მადლობა გადავუხადო, რომ ეს ბოროტი რეჟიმი დაამარცხა და ციხიდან გამოვედით. რეფორმა რომ ჩატარდება, გავასაჩივრებთ.

— სააკაშვილმა თქვენი გათავისუფლების შემდეგ თქვა, რომ სჯობდა, აქაურები ჯაშუშობისთვის დაპატიმრებულ ქართველებში გაეცვალათ. როგორ ფიქრობთ, ვის გულისხმობდა?

— ალბათ, მიხეილ სააკაშვილი თავის თავს გულისხმობდა. მიხეილ სააკაშვილი გავცვალოთ რუსეთში დაპატიმრებულებში. ყველაზე დიდი აგენტი არის სააკაშვილი, რომელმაც დაანგრია და გააცამტვერა საქართველო. სწორედ მან მოაწყო ყველაზე დიდი ჯაშუში და ყველაზე დიდი მეამბოხე თავად მიხეილ სააკაშვილი ამბოხი. შეცვივდნენ პარლამენტში, ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ამბოხით. სააკაშვილზე დიდი აგენტი ვინ არის, რომელმაც დაკარგა სამაჩაბლო, ცხინვალის რეგიონი. 2003 წელს ცხინვალის რეგიონი, ფაქტობრივად, შემორიგებული იყო. 1993-2000 წლებში შიდა ქართლის გარნიზონის უფროსი ვიყავი. ცხინვალში ჩვეულებრივად შევდიოდით და გამოვდიოდით სამხედრო ფორმითა და იარაღით. მაშინ იქ არანაირი დაპირისპირება არ იყო, შემორიგებული გახლდათ. კოდორის ხეობა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ქართველები იცავდნენ, მიხეილ სააკაშვილმა რუსებს გადაულოცა. 2008 წლის ომის დროს ტელევიზიით აცხადებდნენ, აქ და აქ ვდგავართო. ეს იყო აგენტობა. ფაქტობრივად, სააკაშვილს ვინც ჰყავს დაჭერილი, უმეტესობა ამბოხებისა და ჯაშუშობის მუხლით არიან გასამართლებულები. დაპატიმრებული არიან ერთკაციან ამბოხში და ერთკაციან ჯაშუშობაში ბრალდებულები ტყუილუბრალოდ. მაგალითად, ზურაბ ხორგუანი ჰყავთ ჯაშუშობისთვის დაპატიმრებული, აწამეს ელექტროშოკით, გაუკეთეს ნარკოტიკები, თუ არ აღიარებდა, მისცემდნენ 30 წელს. წამებით აღიარებინეს და მისცეს 6 წელი.

დავით ლილუაშვილის განცხადებით, პოლიტპატიმრები აპირებენ, იბრძოლონ თავიანთი უფლებების დასაცავად. უახლოეს პერიოდში საჩივარი შევა პროკურატურაში, რომ ჩატარდეს ხელახალი ობიექტური გამოძიება და დადგინდეს ჭეშმარიტება. გამოიძიონ, როგორ მოხდა 2009 წლის 21 მაისს მათი ჩაცხრილვა ე.წ. ოპერაციის დროს, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მაშინდელი შს სამინისტროს მაღალჩინოსნები, ასევე სამოქალაქო მაღალი თანამდებობის პირები გიგი უგულავა, გივი თარგამაძე და სხვები. მოხდეს მათი სამართლებრივი რეაბილიტაცია. უნდა დაისაჯონ ის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებაში.

— არავითარი ამბოხი არ ყოფილა, უბრალოდ, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მაშინდელი დიდი პოლიტიკური პროცესებისა და პროტესტის ჩასახშობად სააკაშვილს სწორედ სამხედრო პირების გამოყენება უნდოდა. უნდოდათ, ქართული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს დაერბიათ მომიტინგეები. ასევე ჰქონდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 26 მაისს უნდოდათ წაგებული ომის გამარჯვებად წარმოჩენა და საზეიმო ღონისძიებების ჩატარება. აღლუმზე გამოსვლას არ აპირებდნენ სამხედრო მეთაურები, ვინაიდან მათი მეგობრების სისხლი ჯერ კიდევ არ იყო შემშრალი. აპროტესტებდნენ ასევე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს — როგორ ექცეოდნენ ქართველ საზოგადოებას, როგორ ექცეოდნენ სამხედრო შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს. უნდოდათ, ყველა თავიანთი დიქტატის ქვეშ ჰყოლოდათ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ნაციონალებს პოლიციის დისკრედიტაცია სურთ“

**შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიციის დისკრიმინაციაზე საუბრობს, რაც, მინისტრის განცხადებით, მათი ოპონენტების მიზანს წარმოადგენს.**

– ჩვენი ოპონენტების მიზანი პოლიციის დისკრედიტაციაა, თუმცა ეს მიუღწეველი იქნება. ჩვენს სამინისტროში რეფორმა დაიწყო, ის რეფორმა, რომელიც წლების წინ უნდა განხორციელებულიყო. ამ რეფორმას განვახორციელებთ იმ დონეზე, რა დონეზეც არის საჭირო ქვეყნისთვის, – აღნიშნა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრმა ღარიბაშვილმა ჯაზმენ ბექა გოჩიაშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზეც გააკეთა კომენტარი. როგორც პრესას ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა, დაკითხვისას ზეწოლის შესაძლო ფაქტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექცია შეისწავლის.

ღარიბაშვილის განცხადებით, ბექა გოჩიაშვილი 4 იანვარს იმყოფებოდა ერთ-ერთ ბინაში, საიდანაც დაიკარგა სეიფი.

– დაკითხვისას შესაძლო ზეწოლის ფაქტების შესწავლა გენერალურ ინსპექციას დავავალე. ჩვენი ოპონენტები ამგვარი ფაქტებით სპეკულირებას ცდილობენ, რადგან მათი მიზანია პოლიციის დისკრედიტირება, თუმცა ეს მიუღწეველი იქნება. ჩვენ ამგვარ მანკიერ თვისებებს ვებრძოდით და, თუ დღეს თეორიულად რომელიმე პოლიციელი ან გამომძიებელი იმავეს აკეთებს, რასაც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, ამ თემაზე პასუხისმგებლობას არ გავექცევით და ყველა კანონის შესაბამისად დაისჯება, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.



მინისტრის განმარტებით, ბექა გოჩიაშვილი სამართალდამცავებს მარტო არ დაუკითხავთ და დაკითხვის პროცესს მისი მამაც ესწრებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილს კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით მოუწია კომენტარის გაკეთება, რომელიც პროკურატურის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალას ეხებოდა. მინისტრი პროკურატურის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალას სამწუხარო და შემაშფოთებელ ფაქტს უწოდებს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ყველასთვის კარგად ცნობილია, თუ რა მეთოდებით მუშაობდნენ ბოლო წლების განმავლობაში სამართალდამცავები.

– კარგად გვახსოვს ციხის კადრები. ამგვარი ბინძური მეთოდები ჩვენთვის მიუღებელია და მას ვებრძვით. ამ მანკიერ თვისებებს სრულად აღმოვფხვრით და მთლიანად გავაჯანსაღებთ სისტემას. ამას ემსახურება ჩვენ მიერ წამოწყებული რეფორმები, რომელსაც ოპონენტები სკეპტიკურად უყურებენ. ამ ვიდეოების გავრცელება, ალბათ, საჭირო იყო იმისთვის, რომ საზოგადოებას თვალნათლივ დაენახა, რა უბედურებასთან ჰქონდა საქმე და ვისი დავალებით ხდებოდა ეს ყველაფერი. მე ასეთი ბინძური მეთოდებით მუშაობა არასწორად მიმაჩნია, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, დანარჩენი საკითხები უკვე დეტალებია. თუმცა, როგორც მინისტრი აცხადებს, ამგვარი ფორმით არ უნდა ხდებოდეს ადამიანების ჩაბმა დანაშაულებრივ სქემებში.

ღარიბაშვილი თვითმმართველობებში სამართალდამცველი ორგანოების მიერ განხორციელებული ზეწოლის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ.

– მხოლოდ განცხადებები არ არის საკმარისი, ყველა განცხადება საჭიროებს დასაბუთებულ მტკიცებულებას. თუ არის რაიმე კონკრეტული ფაქტი, ჩვენ ამ ფაქტს გამოუძიებლად არ დავტოვებთ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

**ნათია ხურცილავა**

# აკაკი მინაშვილი მაია ფანჯიკიძეს პარლამენტში იბარებს

**ნათია ხურცილავა**

პარლამენტში ფრაქციის ფორმატით საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს საპარლამენტო უმცირესობა იბარებს. „ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერ-მინისტრს საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენების მოთხოვნით მიმართავს. აღნიშნულ განცხადებას დეპუტატი აკაკი მინაშვილი აკეთებს.



დეპუტატის მტკიცებით, ორი თვის განმავლობაში საზოგადოებამ დაინახა, რომ ფანჯიკიძე არაკვალიფიციური მინისტრია, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს და საქართველო იზოლაციისკენ მიჰყავს.

– მაია ფანჯიკიძისა და მთავრობის საქმიანობის შედეგად ჩვენ გაგვიმწვავდა ურთიერთობები ყველა ჩვენს მეგობართან და მეზობელთან, მათ შორის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, ასევე გვაქვს პრობლემები ურთიერთობებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. სწორედ ამიტომ ფანჯიკიძეს ვიბარებთ ფრაქციაზე და ვთხოვთ, გაგვცეს პასუხი კითხვაზე, რა, როგორ და რატომ მოხდა. – განაცხადა მინაშვილმა.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძის განცხადებით, წარმოუდგენელია, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება აღნიშნული მიზეზით მოხდეს.

– თუ მართლა მიიღო ქალბატონმა მაიამ რაიმე სახის შენიშვნა პრემიერისგან, რაზეც არანაირი ინფორმაცია არ მაქვს და რაზეც ეჭვი მეპარება, წარმოუდგენელია, რომ ეს გახდეს მისი ჩანაცვლების მიზეზი. მე ვფიქრობ, მინისტრის განცხადების არასწორი ინტერპრეტირება მოხდა, – ამბობს თედო ჯაფარიძე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მინისტრ მაია ფანჯიკიძის მიერ ბალტიისპირეთში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით ოფიციალურ განმარტებას აკეთებს და აღნიშნულს უარყოფს.

მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მაია ფანჯიკიძის განცხადება სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ იყო ინტერპრეტირებული.

ზალკალიანი ასევე არ ადასტურებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ამის გამო მაია ფანჯიკიძემ პრემიერ-მინისტრისგან შენიშვნა მიიღო და შესაძლოა მან თანამდებობა დატოვოს.

– მსგავსი განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრს არ გაუკეთებია, სხვადასხვა მედიასაშუალებები აკეთებენ მის ინტერპრეტაციას. ფანჯიკიძე იმყოფებოდა ლიტვის პარლამენტთან არსებულ ევროპულ კლუბში, სადაც იყო თავისუფალი დასწრება. თქვენ შეგეძლოთ, გამოგეთხოვათ ინფორმაცია იმ ორგანიზაციისგან, სადაც ღონისძიება გაიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტრო აპირებს ამ ინფორმაციის გამოთხოვას ღონისძიების ორგანიზატორებისგან და საზოგადოებისთვის სრული სახით იქნება ცნობილი იმის თაობაზე, თუ რაზე იყო საუბარი. სინამდვილეში საუბარი იყო იმაზე, რომ ამ კონფლიქტის მოგვარება უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით, რომ თითოეული კონფლიქტი არის უნიკალური და თითოეულ მათგანს სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანის აზრით, აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალურ სამიტზე ბელორუსიის წარმომადგენელთა მოწვევა დაძაბულობას არ გამოიწვევს.

ამის შესახებ ზალკალიანმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ეს არის არაფორმალური სამიტი, რომელიც თებერვალში უნდა გაიმართოს და ის ტრანსპორტის თემებს ეძღვნება. ბელორუსია არის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყანა და, ბუნებრივია, ჩვენ მოწვევა გავუგზავნეთ ექვსივე სახელმწიფოს. ამის შესახებ ინფორმირებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობა და ევროკავშირი, – განაცხადა ზალკალიანმა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, საპარლამენტო უმცირესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ცადა, ეს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა.

რაც შეეხება იმას, მივა თუ არა ფანჯიკიძე განმარტებებისთვის პარლამენტში, დავით ზალკალიანი ფიქრობს, რომ საკმარისია ის განმარტებები, რომლებსაც საგარეო უწყების წარმომადგენლები აკეთებენ და ასევე განცხადება გავრცელდება სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდისა და „ფეისბუკის“ მეშვეობით.

ზალკალიანის თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრის ირგვლივ განვითარებული მოვლენები განხილვის თემა მხოლოდ მედიაშია და არა ოფიციალური არხების მეშვეობით, მათ შორის ეს არ იქნება განხილვის თემა არც სომხეთში, სადაც უახლოეს მომავალში პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი იგეგმება და მაია ფანჯიკიძე დელეგაციის წევრია.

ერთ-ერთი ტელეკომპანიის ინფორმაციით, ფანჯიკიძეს ირაკლი მენაღარიშვილი ჩაანაცვლებს, რასაც მენაღარიშვილი უარყოფს. როგორც საინფორმაციო სააგენტო „პირველს“ მენაღარიშვილმა განუცხადა, იგი ამჟამად სტრატეგიული კვლევების ცენტრში მუშაობს და მიაჩნია, რომ სწორედ ამ საქმეს უნდა აკეთებდეს.

– არავითარი შეთავაზება საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე არ მიმიღია. ბოდიშს ვიხდი თქვენი ზოგიერთი კოლეგის მიმართ, მაგრამ ეს არის მორიგი გასართობი. ჩემი დამოკიდებულება საჯარო სამსახურის მიმართ ბევრჯერ მითქვამს: ის, რასაც დღეს ვაკეთებ, არის ის, რისი გაკეთებაც მინდა და შემიძლია. პოზიციის შეცვლას არ ვაპირებ. ვისაც ამ თემაზე სპეკულაციის სურვილი აქვს, შეუძლია, თავი აღარ შეიწუხოს, – აცხადებს მენაღარიშვილი.

მთავრობის წევრები საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაია ფანჯიკიძის მიერ მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება, შესაძლოა, თანამდებობიდან მისი გათავისუფლების მიზეზი გახდეს, თუმცა მინისტრები ამ ინფორმაციას არ ფლობენ.

თავად საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მთავრობის სხდომას არ დასწრებია, რადგან ვიზიტით ჩეხეთში იმყოფება.

ქართულ მედიაში სკანდალი აზერბაიჯანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ აგორდა. აზერბაიჯანულმა მედიამ 11 იანვარს გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ლიტვაში ვიზიტის ფარგლებში ლიტვის პარლამენტის ევროპული ჯგუფის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე თითქოს განაცხადა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ.

სომხურმა საინფორმაციო სააგენტომ გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ფანჯიკიძეს თავის განცხადებაში მთიანი ყარაბაღი არ უხსენებია.

# ხადური მერაბიშვილთან დებატებისთვის მზადაა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილთან ტელე-დებატებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს სამინიტროს საზოგადოებასთან სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა განუცხადა.

„მე მოგახსენებთ ერთ ფაქტს, დღეს არის 15 იანვარი, 3 იანვარს და 8 იანვარს შემოსავლების სამსახურმა გავავრცელეთ ოფიციალური განცხადება ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებით. 2012 წლის დეკემბრის ბიუჯეტი 640.4 მილიონი ლარით შეივსო. ეს განცხადებაშია მითითებული. ბიუჯეტი შესრულდა ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირების ხარჯზე და პირველად არ ყოფილა გამოყენებული ბიუჯეტში წინმსწრებად ჩარიცხვის მანკიერი პრაქტიკა. ის პრაქტიკა, რომელზეც დღეს ვანო მერაბიშვილი საუბრობს, ნამდვილად არსებობდა წინა წლებში და არა 2003 წლამდე. შესაბამისად, მივმართავთ ვანო მერაბიშვილს მიიღოს მონაწილეობა ტელე-დებატებში ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურების წარმომადგენლების პირისპირ“, – განაცხადა მოისწრაფიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გუშინ განაცხადა, რომ „საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი დაიწყო“.

**პირველი**

# სოზარ სუბარი: „პოლიტპატიმრების საქმეები თავიდან უნდა გამოიძიონ“

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი რიგ საქმეებზე გრიფ „საიდუმლოს“ მოხსნის მოთხოვნას ეთანხმება. აღნიშნული განცხადება სოზარ სუბარმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.**

მისი თქმით, როდესაც პარლამენტი აღიარებს, რომ ადამიანი პოლიტპატიმარია, ეს ნიშნავს, რომ ის იყო უკანონო პატიმარი. შესაბამისად, სუბარის თქმით, მათ აქვთ რეაბილიტაციის უფლება.

სუბარის განცხადებით, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საპარლამენტო უმცირესობა, როდესაც აცხადებდნენ, რომ არ შეიძლებოდა გრიფ „საიდუმლოს“ მოხსნა გარკვეულ საქმეებზე და პარალელურად ამ ადამიანების ციხეებიდან გათავისუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ.

– მათ, პირიქით, უნდა ეთქვათ, რომ ახსნილიყო გრიფი „საიდუმლო“, რათა საზოგადოებას დაენახა, სინამდვილეში იყვნენ თუ არა მართლა დამნაშავეები. მაგრამ უმცირესობის წევრებმა ძალიან კარგად იციან, რომ ამ ადამიანებს არ




აქვთ დანაშაული ჩადენილი, საქმეები შეთითხნილია და, შესაბამისად, არ უნდათ ამის გამოაშკარავება, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მინისტრის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სასამართლოებს 3 615 მსჯავრდებულის საქმე გადაუგზავნა. მათგან 600-მდე პატიმრის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მიქანაძეს გადაეცა.

სამინისტროს მხრიდან მსჯავრდებულთა საქმეების გადაცემის პროცესი კანონით დადგენილ ვადაზე ადრე, 4-5 დღეში დასრულდება.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში განმარტავენ, ორი თვის განმავლობაში სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეცნობება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და, შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოხდება მათი აღსრულება.

როგორც ცნობილია, ამნისტია 17 ათასამდე პატიმარს შეეხება, აქედან 3 ათასამდე პირი ციხეებს დატოვებს.

ციხიდან გათავისუფლებული პოლიტპატიმრის ირაკლი თოფურიძის გარდაცვალების საქმეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია შეისწავლის.

აღნიშნული განცხადება მინისტრმა სოზარ სუბარმა გააკეთა. მისი თქმით, სამინისტრომ უკვე მიიღო ოფიციალური ინფორმაცია გათავისუფლებული პატიმრის გარდაცვალების შესახებ და შესაბამისი ორგანოები საქმეს სწავლობენ.

– თუ მოკვლევის შედეგად დადგინდება, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის მხრიდან არ მიექცა ირაკლი თოფურიძეს სათანადო ყურადღება, შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება, – განმარტა მინისტრმა.

სოზარ სუბარმა აღნიშნა, რომ აუცილებელია გაირკვეს, მიმართა თუ არა მან უშუალოდ გათავისუფლების შემდეგაც ექიმებს დახმარებისთვის, რადგან შესაბამისი ინფორმაცია ჯერ არ არსებობს.

მუხროვანის ამბოხის ბრალდებით დაკავებული ირაკლი თოფურიძე პატიმრობიდან 13 იანვარს, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა. იგი გუშინ დილით გარდაიცვალა.

**ნათია ხურცილავა**

# დარიალის ხეობაში თერგი აღარ იქნება!

## ყაზბეგში 10 ჰესის აშენება იგეგმება

შორენა მარსაგიშვილი

**არჩევნების წინ მეოცნებეებმა პირობა დადეს, რომ დიდი ჰესების მშენებლობას შეაჩერებდნენ. ეს პირობა ყაზბეგის მოსახლეობასაც მისცეს. პირობა ასეთი იყო, როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ, ჰესების მშენებლობას შევაჩერებთო. უკვე მინისტრებად დანიშნულმა კახა კალაძემ და ხათუნა გოგალაძემაც გაიმეორეს ეს დანაპირები, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგა, ჰესების მშენებლობაზე გაყუჩდნენ.**



კახა კალაძე დავით აქუბარდიამ პრომეთეს პრემიაზე წარადგინა. უთხრა, თუ ქვეყანას გაანათებ, პრომეთე იქნებიო. კალაძემაც პირობის შესრულებას პრომეთეობა არჩია და ჰესების ამბავში საქართველოს რამდენიმე ავტოგოლი გაუტანა. რაც შეეხება ხათუნა გოგალაძეს, ის ამ თემებზე კომენტარებსაც კი არ კადრულობს. ცოტა ხნის წინ სულაც გადაირია, რა გამიხურეთ საქმე ამ „დარიალიჰესითო“.

ამ ჰესთან დაკავშირებით უამრავი რამდე დავწერეთ და თავს აღარ შეგაწყენთ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მის მშენებლობა არ შეჩერდება. „მწვანე ალტერნატივამ“ სასამართლოშიც კი შეიტანა სარჩელი, მაგრამ წააგეს. ამის მიუხედავად, ისინი ბრძოლის გაგრძელებას შეეცდებიან.

„მწვანე ალტერნატივის“ პოლიტიკის ანალიტიკოსმა ქეთი გუჯარაიძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მათ პროკურატურაშიც შეიტანეს სარჩელი. გუჯარაიძე იმედოვნებს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. მას იმედი აქვს, რომ საზოგადოება „მწვანე ალტერნატივას“ გვერდში დაუდგება. საბრძოლი კი მართლაც ბევრია. ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ ყაზბეგში არა 3, არამედ 10 ჰესის აშენება იგეგმება.

– აქამდე ყაზბეგში (დარიალის ხეობაში) ორი ჰესი შენდებოდა: მდინარე თერგზე – „დარიალი ჰესი“ და „ლარსი ჰესი“, რის შედეგადაც დარიალის ხეობაში მდინარე თერგი პრაქტიკულად აღარ იქნება, რადგან გვირაბში უნდა მოექცეს. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ხდის ხეობაში იწყება ახალი ჰესის მშენებლობა მდინარე ხდისწყალზე. ახლა კი გამჟღავნდა, რომ გარდა ამ 3 ჰესისა, ყაზბეგში კიდევ 7 ჰესის აშენება იგეგმება. კერძოდ, 2012 წლის 25 იანვარს საქართველოს მთავრობასა და მალტაში რეგისტრირებულ კომპანიას შორის დადებული მემორანდუმის თანახმად, კომპანია იღებს ვალდებულებას მემორანდუმის პირველ დანართში ჩამოთვლილი 15 ჰესის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლისა და შემდგომ მშენებლობასთან დაკავშირებით. მემორანდუმში მოხსენიებული 15 ჰესიდან შვიდი ყაზბეგის რაიონში მდებარეობს; ესენია: თრუსო ჰესი (მდ. თერგი), კობი ჰესი (მდ. თერგი), თერგი ჰესი (მდ. თერგი), სნოსწყალი ჰესი (მდ. ართხმოსწყალი), ჯუთა ჰესი (მდ. ჯუთა), ჩხერი ჰესი (მდ. ჩხერი) და ამალი ჰესი (მდ. ამალი). კომპანიამ მშენებლობა 18 თვეში უნდა დაიწყოს. ანუ 2013 წლის ზაფხულში, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში გუჯარაიძე.

მას ვერაფრით წარმოუდგენია, რა საჭიროა ერთ რაიონში ამდენი ჰესის აშენება.

– ენერგეტიკოსებს ასე ესმით, რომ წყალი ტყუილად არ უნდა დაიღვაროს. ამ მხრივ ყაზბეგი ძალიან ხელსაყრელია ჰესების ასაშენებლად. აქ სწრაფი მდინარეებია. სამწუხაროდ, არავის არ აინტერესებს, რომ ამას შესაძლოა ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს, – ამბობს გუჯარაიძე.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელს აინტერესებს, არსებობს თუ არა ენერგობალანსი? არის თუ არა გარკვეული, სჭირდება თუ არა საქართველოს ამდენი ჰესი.

– დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ამ ჰესების აშენება აუცილებელია. მაშინ წარმოადგინონ მასალა და დაამტკიცონ, რომ ამის გაკეთება აუცილებელია. როცა ეს არ არის დასაბუთებული, ბუნებრივია, კითხვები ჩნდება. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ჰესები შენდება იმისთვის, რომ ელექტროენერგია ექსპორტზე გავიდეს, – აღნიშნავს „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი.

ქეთი გუჯარაიძეს ასევე აწუხებს ის ფაქტი, რომ ეკოლოგების დასკვნას ენერგეტიკოსები არაფრად აგდებენ.

– ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ყველგან ასეა, მიდის ჭიდილი. ჩვენ ვეცდებით ჩვენი სიმართლე დავამტკიცოთ. „დარიალიჰესთან“ დაკავშირებით გამარჯვების ნაკლები შანსები გვაქვს. მშენებლობა დაწყებულია და მისი შეჩერება ძალიან ძნელი იქნება. სხვა ჰესებთან დაკავშირებით კი სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ, – აღნიშნავს „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი.

კეთდება განცხადებები, რომ ჰესების აშენება ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს. გარემოსდაცვით ორგანიზაციაში კატასტროფა გადაჭარბებულად მიაჩნიათ. ამასთან იციან, რომ ჰესები სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს.

– ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს იქნება ეკოლოგიური კატასტროფა, მაგრამ შედეგი იქნება ძალიან ცუდი. ყაზბეგი და დარიალის ხეობა უნიკალური ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ არის დაცული ტერიტორია, რომლის გაფართოებაც იგეგმება და გასარკვევია, რამდენად მოდის თანხვედრაში დაცული ტერიტორიების გაფართოება და ჰესების განვითარება, – სვამს კითხვას ქეთი გუჯარაიძე.

ენერგეტიკის მინისტრის უფროსი მრჩევლის ეკა ჟვანიას განცხადებით კი, ყაზბეგის რაიონი ჰესების ასაშენებლად ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ადგილია და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ამ რაიონში დაგეგმვა ამიტომ ხდება.

– ყაზბეგში ამდენი ჰესის მშენებლობა იმიტომ იგეგმება, რომ ჰესის მშენებლობისთვის ადგილი ირჩევა ბუნებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელსაყრელობის თვალსაზრისით. წყლის ვარდნის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც უნდა მოხდეს. ჰესს გარეჯის უდაბნოში ვერ ააშენებ, – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ეკა ჟვანიამ.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ჰესები არ აშენდება, რამდენიმე წელში საქართველოში 90-იანი წლების სიბნელე დაბრუნდება.

– თუ ჰესები არ აშენდა, 2-3 წლიწადში საქართველოში შეიძლება 90-იანი წლების სიბნელე დაბრუნდეს. მარტო იმპორტით რთული იქნება ენერგომომარაგება, რადგან მომხმარებლის და, შესაბამისად, ელექტროენერგიის მოხმარება მატულობს. გარემოსდამცველების პოზიცია გასაგებია, გარემოზე ზრუნავენ, ამიტომ ერთობლივი მუშაობა ხდება. ეკოლოგიურ დასკვნას დებენ პროექტის ავტორები, საკუთარ დასკვნას დებს „მწვანე ალტერნატივაც, – აღნიშნა ეკა ჟვანიამ.

გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ხათუნა გოგალაძის განცხადებით, ჰესების მშენებლობის შემთხვევაში ყველა მონაცემის შესწავლა და ანალიზი უნდა მოხდეს, რომ ყაზბეგის რაიონის უნიკალურ ბუნებას ზიანი არ მიადგეს.

– მემორანდუმი გაფორმდა წინა მთავრობის მიერ. მემორანდუმის თანახმად დაგეგმილი იყო ჰესების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლა-ანალიზი და შესაძლებლობის შემთხვევაში მათი მშენებლობა. ეს არ გულისხმობს ამ ჰესების უპირობო მშენებლობას. ჰიდროენერგია „მწვანე“ ენერგიად არის მიჩნეული. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ყველა მონაცემის გათვალისწინება და შესწავლა-ანალიზი. ყაზბეგის რაიონი გამოირჩევა უნიკალური ბუნებით და, შესაბამისად, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვიქცეთ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, – განუცხადა მინისტრმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

ამ თემაზე ხვალ „კინოს სახლში“ გაიმართება სერიოზული მსჯელობა. იმედია ენერგეტიკოსები დაასაბუთებენ, რომ ქვეყანას მართლაც სჭირდება ამდენი ჰესი. ამასთან ისიც უნდა დაამტკიცონ, რომ ეს გარემოს ზიანს არ მიაყენებს. იმედია მეოცნებე ხელისუფლება იმასაც განმარტავს, რატომ არ შეასრულა დანაპირები.

და კიდევ საინტერესოა, რატომ დუმს მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე. აქამდე ამტკიცებდა, ეს ჰესები ყაზბეგს დაღუპავსო. ახლა კი ხმას არ იღებს. ეტყობა სააკაშვილის ეპოქაში აშენებული ჰესია საშიში, ივანიშვილის პრემიერობისას ნაშენები ჰესი კი ეკოლოგიისთვის სააამური ყოფილა.

ახლა კი ისევ ეკა ჟვანიას განცხადებას დავუბრუნდებით. ის ამბობს, რომ ყაზბეგი ხელსაყრელია ჰესების ასაშენებლად, რადგან აქ ჩქარი მდინარეებია. ისე არ გამიკვირდება, მალე მოსახლეობას სახლებში, ონკანებზეც დაუმონტაჟონ მიკროჰესები.

ამასთან მეჰესეებმა ცოტა წინდახედულებაც გამოიჩინეთ. თერგთან ხუმრობა ცუდად მთავრდება ხოლმე. ასევე უფრთხილდით დევდორაკს, რომელიც „დარიალიჰესის“ სიახლოვეს არის. დევდორაკმა ცოტა ხნის წინ საკმაოდ დიდი სიგრძის გზა მოწყვიტა და არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს ჰესსას გამოუყვანოს წირვა.

# მიხეილ სააკაშვილი: „ქუთაისი პარლამენტის გარეშე მოკვდება“

შორენა მარსაგიშვილი

**მეოცნებეები ამბობენ, რომ მათ პარლამენტში უკვე ჰყავთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. ამით გახარებულები რამდენიმე სერიოზულ ცვლილებას გეგმავენ. ერთ-ერთი პირველი რაც იქნება. პარლამენტს შეუცვლიან ადგილს და ისევ თბილისში დააბრუნებენ.**

ყველა ნორმალურ და გნებავთ არანორმალურ ქვეყანაში, პარლამენტი დედაქალაქშია. საქართველოშიც ასე იყო. მერე ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილს აღარ მოუნდა თბილისის დედაქალაქობა და ახალი პარლამენტის აშენება ბრძანა. ალბათ ოდესმე გაირკვევა რა მიზანს ემსახურებოდა პრეზიდენტის ეს ახირება. ქუთაისის განვითარება, რომ არ ადარდებს ეს ყველამ კარგად იცის.

როგორც მეოცნებეები ამბობენ, გაზაფხულზე კანონმდებლები უკვე თბილისში იმუშავებენ. თბილისის პარლამენტის შენობის გაყიდვა ვერ მოასწრეს. სამაგიეროდ მავანმა იქაურობა დაალეწვინა. ახლა ინტენსიურად მიდის მისი შეკეთება.

ნაციონალებმა ამაოდ სცადეს ქუთათურების აყოლიება. ქუთაისელებს დიდად არ ადარდებთ დარჩება თუ არა პარლამენტი მათ ქალაქში. ამ მოთხოვნით აქციების გამართვა არც კი უცდიათ. მათი „გამოფხიზლება“ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა სცადა. რომელსაც რამდენიმე დღეში ვადა გასდის.

მისი შეფასებით, პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის იდეა მისი მკვლელობის, ჩამკვდარ ქალაქად ქცევის გამოცხადებული ქრონიკაა. ქუთაისში სტუდენტებთან შეხვედრისას გუშინ სააკაშვილმა იმ უარყოფით შედეგებზე ისაუბრა, რაც მისი ხედვით, პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადატანას მოჰყვება.

– გუშინ ვიღაც ამბობდა, რომ პარლამენტი ვირტუალური შენობაა. როგორაა ვირტუალური, თითს დააჭერ და ჰაერში გაფრინდება, თუ როგორ?! თუ ეკრანიდან წაიშლება?! მე ამ ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ არჩევნების წინ ვამბობდი, ყველაფერს ფასი აქვს-თქო, რადგან შეიძლება ჩვენ გვეგონოს, რომ ეს არის ჩვეულებრივი, ყველაფერი ისე დარჩება და რაღაცას დამატებით მივიღებთ. ერთი პრობლემაა მხოლოდ, რომ უშუქობა, კრიმინალიც, ქურდებიც – ამას სახელები და გვარები ჰქონდათ, რომლებიც დღეს ცოცხლები არიან და მეტსაც გეტყვით, მათი ძირითადი ნაწილი დღეს დაბრუნდა კაბინეტებში. უფრო მეტიც, მათ ერთად გადაწყვიტეს, რომ ქუთაისს პარლამენტი წაართვან, ამიტომ მინდოდა დღეს თქვენთან შეხვედრა. უნდა გვესმოდეს, თუ რა ნიშნავს პარლამენტი ქუთაისში. ჩემი ჩანაფიქრით, რა იყო ის, რომ პარლამენტი აქ აშენდა. ეს არის წყალტუბოს ძალიან დიდი ტურისტული კომპლექსი, რომელიც მსოფლიო ბანკის ნაწილში გრძელდება, თუმცა ძირითადი ნაწილი შეჩერებულია. თუ სხვა რაღაცეები არ გაკეთდა, რაც ჩვენ გვინდოდა, ეს იყო დამატებით 100-150 მილიონი ლარი და მათ შორის, უამრავი სასტუმრო კომპლექსი. ჩვენ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მთელ რეგიონს უნდა ეფრინა, ეს იქნებოდა არა მარტო კავკასიის, არამედ ევროპის უდიდესი აეროპორტი. თუ პარლამენტი ქუთაისში არ იქნება, როგორც ძველ დროს იყო ორი რეისი – მოსკოვი და კიევი, ის დარჩება. არ იქნება პარლამენტი ქუთაისში და მრავალსართულიანი თუ მცირე სასტუმროები, პატარა ტურისტული ობიექტები, რაც ათასობის სამუშაო ადგილს შექმნიდა, ესეც გაჩრდება. ბევრ თქვენგანს პარლამენტში სტაჟირება უნდა გაევლო. რატომღაც ამათ პარლამენტის გადმოტანის შემდეგ აპრატის უმრავლესობა თბილისიდან გადმოიყვანეს, რადგან თავიდანვე აპირებდნენ წასვლას. ეს არ იყო ჩვენი ჩანაფიქრი. აღარ იქნება ახალგაზრდების პერსპექტივა. ისინი ამბობენ, თბილისში უნდა დავბრუნდეთო, რადგან არასამთავრობო სექტორი დედაქალაქშიაო. რატომ არ შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციები ქუთაისს ჰყავდეს?! ისინი ამბობენ, რომ ვბრუნდებით სახლში, რადგან გვინდა ხალხთან ახლოს ყოფნა. ე.ი. ქუთაისში ხალხი არ ცხოვრობს?! ამას ხომ გეუბნებიან ყოველდღე თქვენს გასაგონად. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ ვბრუნდებით სახლში, რატომ საქართველოს მმართველების სახლი მხოლოდ თბილისის ერთი კვარტალია?!, – განაცხადა სააკაშვილმა.



ამის პარალელურად მან მარკერით დაფაზე შემდეგ წარწერა გააკეთა „მკვდარი ქუთაისი ჩამკვდარ დასავლეთ საქართველოს ნიშნავს, ხოლო ცოცხალი ქუთაისი დასავლეთ საქართველოს აცოცხლებს“.

ამაზე საქართველოში დიდი ხალისობა წავიდა. სოციალურ ქსელებში ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რაც სააკაშვილს საერთოდ არ ადარდებსთ.

– პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის იდეა ეს არის, ქუთაისის მკვლელობის, ჩამკვდარ ქალაქად ქცევის გამოცხადებული ქრონიკა. მე ამის შესახებ ქუთაისელებს ვეუბნებოდი, თუმცა არ დამიჯერეს. ხალხი ათწლეულების განმავლობაში იყო შეჩვეული, რომ რაღაც პარტიები ჰპირდებოდნენ, ამას და ამას გაგიკეთებთო, ამას ჩვენს პარტიაზე ვერ ვიტყვი და ხშირად ეს არ სრულდებოდა, – განაცხადა სტუდენტებთან შეხვედრისას სააკაშვილმა.

ქუთაისელი სტიდენტები სააკაშვილმა რამდენჯერმე გააკვირვა. იმის მაგივრად, რომ ბავშვების კითხვებისთვის გაეცა პასიხი თავად დასცა კითხვები და თავადვე უპასუხა. ამ პასუხებში ბუნებრივია საკუთარ თავს აქებდა.

– ჩვეულებრივ, თქვენ კითხვებს უსვამთ თქვენს მასწავლებლებს, ლექტორებს, ახლა კი მინდა, რომ შეკითხვები მე დაგისვათ. ამ უნივერსიტეტში მოსახვედრად რომელიმე თქვენგანს ქრთამი ხომ არ გადაგიხდიათ? გაგეცინათ? რომელიმე თქვენგანს, როდის გაურჩია ბოლოს ქურდმა საქმე? ოპერატორებსაც ეცინებათ..... რომელ თქვენგანს წაართვეს ბოლო ხანს ქუჩაში 2-3 ლარი? ამაზეც გაგეცინათ. ბოლოს როდის დაიძინეთ თბილ პალტოში, რომ არ გაყინულიყავით? ამაზეც გეცინებათ. რომელ თქვენაგნ ახსოვს გადაცემა „ალო, გისმენთ მერი?“ ეს გახსოვთ, ეს არის ბავშვობის მოგონება, რადგან ეს იყო დღე ქუთაისში, როდესაც პარასკევს საღამოს დენი იყო. გამოდიოდა მერი, რომელიც დღეს ჩემი ფანჯრების წინ დგას რეგულარულად და გიხსნიდათ, თუ რატომ იყო ყაჩაღობა, რატომ იყვნენ ქურდები, რატომ არ იყო დენი, გზები, რატომ იყო მექრთამეობა და რომ ეს არ იყო მისი ბრალი. ეს ყველაფერი იმიტომ გკითხეთ, ჩემო მეგობრებო, რომ მინდა, ერთი რამე იცოდეთ. დღეს ძალიან მოდაშია ჩემი და „ნაციონალური მოძრაობის“ ლანძღვა. ის, რომ დღეს არის დენი, რომ არ არიან ქურდები, რომ თქვენ არ გართმევენ ქრთამს, ის, რომ ქართული ოჯახების 80%-ის ერთადერთი საჭმელი კარტოფილი და პური არ არის, ეს ყველაფერი მე და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გავაკეთეთ და ამით ძალიან ვამაყობ. ეს არის სინამდვილე და სიმართლე. ეს არ არის ვირტუალური საქართველო, – განაცხადა სააკაშვილმა.

იმ დროს როცა სააკაშვილი ნაკეთები საქმეებით მარიაჟობდა. ვანო მერაბიშვილი ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის შესახებ გვებაასებოდა.

– მინდა, გითხრათ, რომ სამწუხაროდ, საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი დაიწყო, რაც გამოწვეულია საქართველოს ბიუჯეტში რეალური შემოსავლების კლებით. საქართველოში შემცირებულია ეკონომიკური აქტიურობა, რაც გამოიხატება როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის შემცირებაში. საქართველოში წარმოება და ვაჭრობა შემცირდა. ამავე დროს, საგანგაშოდ გაიზრდა საქართველოს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ვალების რაოდენობაც. დღეს ეკონომიკურ სუბიექტებს ერთამანეთის მიმართ დიდი ვალი დაუგროვდათ. ამ კრიზისის შენიღბვის მიზნით დღევანდელმა მთავრობამ ძველი 2003 წლამდე – შევარდნაძის ეპოქაში არსებული პრაქტიკა აღადგინა, კერძოდ, გადასახადების წი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

2013, 16 იანვარი, №12

# „საპატრიარქოში უგულავასა და მერაბიშვილის მივარდნები შესასწავლია!“

შორენა კოწოწაშვილი

**სწორად აფასებენ თუ არა პოლიტიკოს ივანიშვილის შესაძლებლობებს და რამდენად მტკივნეულად აღიქვამს საზოგადოება იმ სასულიერო პირთა პატრიარქის გვერდით დგომას, რომლებიც მრევლს არჩევნებზე ხუთიანის შემოხაზვას სთხოვდნენ? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.**

***— ბატონო ვაჟა, ხელისუფლებამ პოლიტპატიმართა აღიარებით და ამ მნიშვნელოვანი ამნისტიით გამოკვეთა, რომ „დემოკრატი“ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ქვეყანას ორასამდე პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი ჰყავდა. მართლაც ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ურტყამს ივანიშვილის გუნდის ეს გადაწყვეტილება, როგორც პრეზიდენტი აცხადებს?***

— საქართველოსთვის ზიანის მომტანი იყო და არის სააკაშვილი და მისი ხელისუფლება. ეს არის ის ბინძური ძალა, რომელიც საქართველოს ცივილიზებული განვითარების გზიდან აშორებდა და რომელსაც ქვეყანა დაღუპვამდე მიჰყავდა. ეს პოლიტიკური ძალა ნეობოლშევიკური გამოვლინებებით ახშობდა ყოველგვარ დემოკრატიულ გამოვლინებას. ამიტომაც პრეზიდენტის განცხადებებს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობისთვის ქვეყნის პრეზიდენტი აღარ არის. ალბათ, 2008 წლიდან ის აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი, რადგან გაყალბებული არჩევნებით მოვიდა და ეს უნდა ითქვას. მისი ეს განცხადება მაოხრებელი გზირის ხმაურს ჰგავს. ეს არის ბოლომდე სავსე კაცის განცხადებები. ასევეა ნაციონალების განცხადებები, გოკა გაბაშვილი ამბობს, რომ ქვეყანა დაიღუპება, თუ ამდენი პატიმარი გამოვა. ყველამ გაიგო, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლით საქართველოში ასეულობით პოლიტპატიმარი გახდა. ყველას ბიზნესი ნადგურდებოდა, რომელიც ნაციონალების დაკრულზე არ მოქმედებდა. ამიტომაც განცხადებები ნაციონალების ბანაკიდან — ეს არის ფაშისტური ხროვის ბოლო ყავყავი. როგორც ძველად მოღალატეებს უკუღმა შესვამდნენ ვირზე და ჩამოატარებდნენ, რომ ყველას შეეფურთხებინა და თავში წამოეთაქა, ასე უკუღმა უნდა შესვა ვირზე სააკაშვილი, ჩააცვა ქობალიასა და ნიჟარაძის „კოლგოტკები“ და ეგრე უნდა ჩამოატარო თბილისში, რათა ყველამ ზედ აფურთხოს. უკან ნაციონალების ხროვა უნდა დაუყენო, ის რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებმაც სააკაშვილთან ერთად ჩაიდინეს არაერთი საშინელება და ხალხი გაამწარეს. აი, ეს არის მაგათი ყველაზე კარგი განაჩენი. იმის მაგივრად, რომ ეს ხალხი ჩუმად იყოს, იქით გადმოდიან შეტევაზე და ძველი, ბოლშევიკური რიტორიკით გვიტენიან თავებს. სამარცხვინოა, როდესაც პარტკომის ოჯახში გაზრდილი გოკა გაბაშვილი სხვებს დემოკრატიაზე ელაპარაკება. ეს ის გოკა გაბაშვილია, რომელსაც ამდენი ხანი პასუხი არავინ მოსთხოვა თავისი საქციელისთვის — ქართული კულტურის არაერთი კერის დანგრევისთვის. იმის მაგივრად, რომ ასეთ შეცდომებს ინანიებდნენ, აქეთ შეტევაზე გადმოდიან.

***— რას იტყვით პოლიტიკურ დუელზე, რომელიც სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის მიმდინარეობს?***

— სააკაშვილს არავითარი ბერკეტი აღარ გააჩნია, თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ მას ქართველ ხალხში რეიტინგი აქვს ნულთან მიახლოებული. არჩევ-



ნები ხვალ რომ ჩატარდეს, სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავს. ვიმეორებ, სააკაშვილის ხელისუფლება შემთხვევით მოვიდა კარგად გათვლილი პიარტექნოლოგიების დახმარებით. ეს იყო პერიოდი, როცა მოსახლეობამ შევარდნაძის სიძულვილს ქვეყნის მომავალი გადააყოლა. ასეთ შეცდომას ის არ გაიმეორებს.

***— სააკაშვილმა კოჰაბიტაციის პერიოდში, ახალი წლის ღამეს 5-პუნქტიანი გეგმა შესთავაზა ხელისუფლებას. ჩანდა, თითქოს პრეზიდენტი რაღაც დათმობაზე მიდიოდა, თუმცა ამის შემდეგ გუბერნატორების დანიშვნა დაიწყო და ძალების მოკრებას ცდილობს.***

— მეძავთან წმინდა ოჯახს ვერ შექმნი. სააკაშვილი არის პოლიტიკური მეძავი. ამიტომ მასთან ყველანაირი თანხმობა, ყველანაირი შეთანხმება და თანაარსებობა შეუძლებელია. სააკაშვილი და მისი ხროვა არიან კრიმინალები, რომლებსაც არაერთი დანაშაული აქვთ ჩადენილი. მათ კაცობრიობის წინაშეც აქვთ დანაშაული ჩადენილი, ისეთი მაღალი ინტელექტის ერის ტანჯვისა და ფაშისტური წამებისათვის, როგორიც მათ გაწიეს ამ 8-9 წლის განმავლობაში. ამდენად, რაიმე თანამშრომლობა ამ ბინძურ ძალასთან, ამ ანტიდემოკრატიულ ძალასთან შეუძლებელია. ეს არის ხალხი, რომელმაც 21-ე საუკუნეში ჩვენ და მომავალ თაობას დაგვანახვეს, რა იყო ფაშიზმი; რა იყო 37 წელი, დახვრეტები, დაპატიმრებები. რაც შეეხება ხათუნა ოჩიაურისა და ანდრო ბარნოვის გუბერნატორად დანიშვნას, ეს არის პრეზიდენტის უაზრო ფაფხური, რომ ვითომ ეს „ჩუჩელა“ რაიმეს წარმოადგენს, იმიტომ რომ მთელი თავისი საპიარო შესაძლებლობები სააკაშვილს ამოწურული აქვს. ეს არის გამწარებული ბოროტი ბეჰემოტის სახლობანას თამაში.

***— ბატონო ვაჟა, ახალი ხელისუფლების კრიტიკისგან 100 დღე ექსპერტები და არასაპარლამენტო ოპოზიცია თავს იკავებს. სწორად გამოკვეთა „ქართულმა ოცნებამ“ პრიორიტეტები და ასეთი პრიორიტეტული იყო იმავე პრეზერვატივებთან დაკავშირებული კანონის მიღება?***

— პრიორიტეტების გამოკვეთასთან დაკავშირებით იმ კანონების ჩამონათვალზე ვერაფერს გეტყვით. მაგრამ მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუ ირმა ინაშვილთან, სადაც ივანიშვილმა განვითარების სამომავლო და შორი სტრატეგიული გეგმაც გვიჩვენა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი მისი დამოკიდებულება როგორც საგარეო პოლიტიკის მიმართ და გამოკვეთა მთავარი ორიენტირები, ასევე საშინაო პოლიტიკური სტრატეგიული მიმართულებები; დამოკიდებულება მედიასთან, არასამთავრობოებთან, ქვეყნის საპარლამენტო მოწყობასთან და ა.შ. ეს იყო ძალიან გულახდილად შემოთავაზებული გეგმა. ამით ივანიშვილმა ქართველ საზოგადოებას, ფაქტობრივად, თანამშრომლობა შესთავაზა. მე მსგავსი შეთავაზება არც ერთი პოლიტიკური ლიდერისაგან არ მახსოვს. ამიტომაც ამ პრიორიტეტების არდანახვა არ შეიძლება. ამ ორიენტირებს პარლამენტმა და მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს, იმიტომ რომ ივანიშვილი ძალიან ძლიერი პოლიტიკური მოთამაშეა. ამიტომ მისი პილიგრანული პოლიტიკურ-ეკონომიკური ტაქტიკა ასე ადვილად ამოსაცნობი არ არის. ვიღაცას შეიძლება ჰგონია, რომ ის არის ჩვეულებრივი, უბრალო მილიარდერი, მაგრამ ეს ასე არ არის. ის გაცილებით ძლიერი პიროვნებაა, ვიდრე გვგონია. ვიმეორებ, ივანიშვილის შემოთავაზებები არის ძალიან ძლიერი. სხვა საქმეა, როგორ უბამენ მხარს მისი თანაგუნდელები.





***— საპარლამენტო უმცირესობა ამტკიცებს, რომ ივანიშვილის მთავრობას წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება უჭირს. ამ მხრივ პრობლემები იკვეთება?***

— რატომღაც საზოგადოება ხშირად არასწორად იქცევა, როცა უცებ ითხოვს კონკრეტულ შედეგებს. უნდა, მთელი რიგი ადამიანები ციხეში იყვნენ. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილიც, მერაბიშვილიც. ადეიშვილიც, უგულავაც — ყველანი დასხდებიან განსასჯელის სკამზე. მაგრამ ჩვენ რატომღაც გვავიწყდება, რომ პრიორიტეტებში გამოვკვეთოთ იგივე განათლების სისტემა. ვთქვათ, გავიხსენოთ ილიას უნივერსიტეტის რექტორ გიგი თევზაძის ანტიქართული გამოსვლები. თევზაძე ისევ რექტორად რჩება. იგივე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის კვიტაშვილის გამონათქვამები, რომლის მოადგილეც დაიჭირეს, ის კი თითქოს ანგელოზია, უნივერსიტეტის რექტორად გადაიყვანეს. არ ვსაუბრობთ იმავე კახა ბენდუქიძესა და მის საქმეებზე. ეს ყველაფერი თითქოს გვავიწყდება. აღარაფერს ვამბობ კულტურის სფეროზე, რომელთა მესვეურებიც გიგი უგულავასთან და ქალაქის მერიასთან ერთად ყოველთვე ფულებს აცოცხლებდა ვითომ ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში. ეს ხალხი ისევ ტრიალებს სახელმწიფო და საჯარო მოხელეების ორბიტაზე. ამაზე ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს და ნაბიჯები გადადგას. შეკითხვები ისმის სასულიერო პირებთან დაკავშირებითაც. ის ეპისკოპოსები, რომლებიც მოუწოდებდნენ თავიანთ მრევლს, ნაციონალური მოძრაობისთვის დაეჭირათ მხარი, არ წაეკითხათ დამოუკიდებელი გაზეთები — ის ეპისკოპოსები როდემდე უნდა ისხდნენ თანამდებობებზე და რატომ არ უნდა დადგეს მათი სასულიერო გზიდან ჩამოცილების საკითხი?! ისინი უშიშროების სპეცსამსახურებისა და სააკაშვილის მიერ იყვნენ ხელდასხმულნი. ვიმეორებ, როდემდე უნდა ისხდნენ თანამდებობებზე ნაციონალების მიერ ხელდასხმული ეპისკოპოსები?!

***— ბატონო ვაჟა, რადგან ეკლესიის თემას შეეხეთ, როგორც ჩანს, დღესაც აქტიურად ერევიან ეს სასულიერო პირები პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი ჩარევით ხერხდება ისევ რიგი ნაციონალების თანამდებობებზე დანიშვნა ახალი ხელისუფლების მიერ.***

— საპატრიარქოში გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილისა და სხვების მივარდნები ცალკე შესასწავლია და ეს საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი.

არ ვიცი, ვისი ხელდასხმით ხდება დანიშვნა, მაგრამ მე გეუბნებით, როგორც რიგითი მართლმადიდებელი: ის ეპისკოპოსები და სასულიერო პირები, რომლებიც დოლ-გარმონით დასდევდნენ სააკაშვილს, მის ნაციონალურ ხროვას; რომელთა ეკლესიებშიც გაკრული იყო სააკაშვილის 5-ნომრიანი ბილბორდები, ესენი უნდა წავიდნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიიდან. დღეს სხვა სიტუაციაა, ჩვენ გვყავს ძალიან ბრძენი და მომთმენი პატრიარქი. თქვენი გაზეთის საშუალებით ვულოცავ მას 80 წლის იუბილეს. მის გარშემო არიან ნაციონალების მიერ ხელდასხმული, სააკაშვილის მიერ დარიგებული შავჯიპიანი ეპისკოპოსები. არ შეიძლება, ასეთი მღვდლები ისევ ტრიალებდნენ ჩვენს სასულიერო წრეებში. შეგნებულად არ ვასახელებ ჯერ ამ ეპისკოპოსებს, რომლებიც 1 ოქტომბრამდე მოუწოდებდნენ მრევლს, ამ სატანა სააკაშვილის ხროვისთვის მიეცათ ხმა. სამარცხვინოა, რომ ესენი ისევ აღსარებასა და ზიარებას იღებენ. დატოვს ამ ხალხმა ეკლესიები და სამოქალაქო ცხოვრებას დაუბრუნდნენ. მოინანიონ ეს მძიმე ცოდვა, რადგან აგიტაცია-პროპაგანდას ერის მტერს უწევდნენ. ამის გამკეთებელი ქართული ცნობიერების მოწინააღმდეგეა. ასეთი ფარისეველი ეპისკოპოსები ქართულ ეკლესიებში არ უნდა იყვნენ. სააკაშვილის დროს თავიანთ ახლობლებს ნიშნავდნენ თანამდებობებზე და დღესაც იმიტომ ირჯებიან, რომ ივანიშვილის მთავრობაშიც შეაძვრინონ თავიანთი ახლობლები, რათა ისევ ხელი მოითბონ. ასეთმა სასულიერო პირის ყვარყვარეებმაც უნდა დატოვონ ქართული ეკლესია. სანამ გამოვა ქართველი საზოგადოება და ამას ძალიან მკაცრად იტყვის. არ შეიძლება, ჩვენი დიდი პატრიარქის ილია მეორის გვერდზეც იდგე და ნაძირალა სააკაშვილის გვერდითაც იდგე და გეცვას ეპისკოპოსის მანტია. ყველაზე დიდი ბარომეტრი ერისა და ბერისთვის სამშობლო უნდა იყოს. როცა ამას გადაუხვიეს და სააკაშვილის აბრჭყვიალებული ოქრო-ვერცხლის ელვარებამ მოსჭრა მათ თვალი, ან ერთი გზა უნდა აირჩიონ, ან მეორე. გახსოვთ, როგორ ცდილობდა, წყალი შეეყენებინა ჩვენი პატრიარქისთვის და არ გამოუვიდა.

## გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო მოძრაობა იკრძალება

გუდაური კობის მონაკვეთზე, ავტოტრანსპორტით გადაადგილების აკრძალვები დღესაც იმოქმედებს.

ზვავსაშიშროების გამო, მოძრაობა 11 საათიდან 17 საათამდე ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის აკრძალულია, 17 საათის შემდეგ კი გადაადგილება მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება რიკოთის უღელტეხილს, იქ ავტოსატრნასპორტო მოძრაობაზე შეზღუდვები კვლავ ამოქმედდა. უღელტეხილზე მთელი ღამის განმავლობაში თოვდა, რის გამოც მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა, სხვა ტიპის ავტომობილებისთვის კი მოძრაობა თავისუფალია.

მოძრაობა მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტომობილებისთვის იკრძალება ასევე გომბორის უღელტეხილზეც.

**ნიუსპრესი**

## მიხეილ სააკაშვილი: „ქუთაისი პარლამენტის გარეშე მოკვდება“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ნასწარ გადახდა დაიწყო, ანუ კომპანიებს იანვარში გადასახდელ გადასახადებს დეკემბერში ახდევინებდნენ, რაც მიგვიყვანს სავალალო მდგომარეობამდე. — განაცხადა მერაბიშვილმა.

მისი თქმით, საბიუჯეტო კრიზისი 3 მთავარი ფაქტორითაა გამოწვეული. ექს-პრემიერმა ამ მიზეზებზეც ისაუბრა.

— პირველი — ეს არის ბიზნესების შევიწროვება. მიმდინარეობს ყოველდღიური მასობრივი შემოწმება ბიზნესების, როგორც საგადასახადო ინსპექციის, ასევე ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის მიერ. ასევე რაც მთავარია, შსს-ს ყველა დეპარტამენტს აკრძალული ჰქონდა გამოძიება და შემოწმება ნებისმიერი ბიზნესის. ჩემი მინისტრობის დროს შსს-ს არცერთი ბიზნესმენი, არცერთი ბიზნესი არ შეუმოწმებია საგადასახო ან სხვა ტიპის გადასახადებთან დაკავშირებით. მეორე — შეჩერდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რამაც უმუშევრობის ზრდა და ბიუჯეტში შემოსავლების კლება გამოიწვია და მესამე, რაც ყველაზე მთავარია, მთავრობას არ გააჩნია ერთიანი, მკაფიო, ეკონომიკური მოქმედების გეგმა. ამ ფაქტების საილუსტრაციოდ ჩვენ ახლა ვმუშაობთ და 22-ში გადმოგცემთ ყველა ციფრს – 2012 წლის ბოლოს 3 თვის ყველა მონაცემს, ეს არის საგანგაშო და ახალი მთავრობისგან გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს, — განაცხადა მერაბიშვილმა.

## აკაკი ბობოხიძეს ზუგდიდში კვერცხები ესროლეს

### გამგებლის მოადგილის დედა ნაციონალებს ცოცხით მიუვარდა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ ზუგდიდში დიდი ხმაური იყო. ადგილობრივები ნაციონალ დეპუტატებს ცოცხებით და კვერცხებით დახვდნენ. ზუგდიდში „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ დეპუტატები იმყოფებოდნენ. უმრავლესობის და უმცირესობის წევრები საკონსტიტუციო ცვლილებებზე მსჯელობდნენ. ადგილობრივებში ამ შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. „გურია ნიუსის“ ცნობით, დარბაზი გადაჭედილი იყო.

„გურია ნიუსის“ ცნობით შეხვედრის დროს, გამგებლის მოადგილის გიზო სართანიას დედა, ლალი (ვერა) ანთია ცოცხით „შეიარაღებული“ მივიდა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში და განაცხადა, რომ ეს ცოცხები უმცირესობის წარმომადგენლებისთვის მიჰქონდა. უმრავლესობის წევრებმა მას მოსთხოვეს დარბაზის დატოვება, რის შემდეგაც ლალი ანთია გავიდა იქედან.

დარბაზში მყოფებმა განსაკუთრებული აგრესია აკაკი მინაშვილის და აკაკი ბობოხიძის მიმართ გამოავლინეს. ამან მეოცნებე დეპუტატების მხრიდან აღშფოთება მოჰყვა. ზუგდიდელებმა კი არ დაიშალეს და ბობოხიძეს დარბაზი დაატოვებინეს.



„ფანები“ ბობოხიძეს გარეთაც უხვად ელოდნენ. დეპუტატმა იქაურობა პატრულის დახმარებით დატოვა. ადგილობრივებმა მას კვერცხები ესროლეს. პატრულს გუშინ ზუგდიდში დიდი ჯაფა დაადგა. სწორედ პატრულმა არ მისცა ზუგდიდელ ქალს საშუალება ბობოხიძისთვის ცოცხი ჩაერტყა.

# ზერეკიძე არასრულწლოვანი პატიმრების უფლებებს დაიცავს

მერი ნამორაძე

გიორგი ზერეკიძე, რომელიც 14 წლის ასაკში აღმოჩნდა საპატიმროში, დღეს პოლიტპატიმრის სტატუსს ატარებს. 14 წლის ასაკში მას სასამართლომ უპრეცედენტოდ მაღალი სასჯელი – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასეთი გადაწყვეტილება სიგნალი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, რომ მაშინდელი ხელისუფლება სასჯელის უმკაცრეს ზომებს არავისთვის დაიშურებდა. ჰოდა, პანტაპუნტით ხდებოდა საქართველოში არასრულწლოვანთა ციხეში გაშვება, მაგალითად, 4 კილოგრამი მაკარონის მოპარვისთვის 4 წლით, კოკაკოლისა და ყველის ქურდობისთვის პრობაციონერთა შორის გამწესება და ა. შ.

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ზერეკიძე ამჯერად თავად აპირებს არასრულწლოვანი პატიმრების უფლებების დაცვას საპატიმროებში და არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას გეგმავს. როგორც „მაესტროს“ პრესკლუბში განაცხადა, ბოლო წლების ციხეში გატარების შემდეგ მისთვის კარგადაა ცნობილი, რა პრობლემები აქვთ ციხეში პატიმრებს.

ზერეკიძე მის დაკავებას ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს უკავშირებს და აცხადებს, რომ მისი დაკავება წინა ხელისუფლებას მაგალითისთვის სჭირდებოდა, რათა იმ რეფორმების გატარების აუცილებლობა ეჩვენებინა, რაც დაგეგმილი ჰქონდათ. ასეთ რეფორმად ზერეკიძემ საჯარო სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის ამოქმედება მოიყვანა. ასე რომ, პასიურ ცხოვრებას ახალგაზრდა აქტიურ, სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებელ ცხოვრებას ამჯობინებს.



# ანდრო ბარნოვი გამგებლებთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს

შიდა ქართლის ახალი გუბერნატორი ანდრო ბარნოვი, საკრებულოს თავმჯდომარეებთან და გამგებლებთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

ამის შესახებ გუბერნატორმა, ამ რანგში მის პირველ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბარნოვის თქმითვე, ის რეაგირების გარეშე არ დატოვებს ასევე, ზეწოლის, მუქარის, პოლიტიკური ნიშნით დევნის და სამსახურებიდან გათავისუფლების არც ერთ შემთხვევას, კონტროლს გაუწევს საბიუჯეტო პროცესებს და არ დაუშვებს ნეპოტიზმს.

გუბერნატორის განცხადებით, ის კარგად იცნობს რეგიონს და მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის განვითარებას ასახელებს. მან აღნიშნა, რომ ყველა პროექტი, რომელიც დაწყებული იყო და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა, უნდა გაგრძელდეს.

ანდრო ბარნოვი რეგიონის მოსახლეობას მოუწოდებს, გამოიყენონ გამოხატვის თავისუფლების უფლება, დაძლიონ შიში და რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ითანამშრომლონ ხელისუფლებაში მყოფ ორივე პოლიტიკურ ძალასთან.

,,მე გუშინ გავეცანი სამხარეო ადმინისტრაციის ბიუჯეტს და გაოცებული ვარ. თანხა იმდენად მცირეა, რომ პრობლემები გვექმნება გადაადგილებების საშუალებების, საწვავის, ელემენტარული სამუშაო პირობების თვალსაზრისით. უფრო მეტს გეტყვით, სამაშველო სამსახურს, რომელიც ერთადერთია რეგიონში, საწვავი მხოლოდ 10 დღის მარაგილა აქვს და თანამშრომლებს ფორმებიც კი არ გააჩნიათ. ეს იმის გამო, რომ აღნიშნული სამსახური გუბერნატორს ექვემდებარება. პოლიტიკურ ძალთა შორის ,,ხელების გადაგრეხვა" გამოსავალი არ არის" – განაცხადა ბარნოვმა.

მისივე თქმით, სამხარეო ადმინისტრაციის საქმიანობა, მაქსიმალურად გამჭვირვალე იქნება.

ნიუსპრესი

# არასრულწლოვან პატიმრებს პრობლემებს ოჯახებიც უქმნიან

მერი ნამორაძე



**წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და წამების ფაქტებზე ალაპარაკდა. რა შეიცვალა რამდენიმე თვის შემდეგ? ამის შესახებ „ახალი თაობა" ცენტრის ფსიქოლოგს, ქალბატონ მაია ცირამუას ესაუბრა.**

***– ქალბატონო მაია, რა ვითარებაში არიან დღეისათვის არასრულწლოვანი მსჯავრდებულები?***

– ვითარება ამ ეტაპზე დიდად არ შეცვლილა იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულება მშენებლობის პროცესშია. ეს პროცესი დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ასე უცებ შენობის ექსპლუატაციაში შესვლა ვერ ხერხდება. არასრულწლოვანი მსჯავრდებულები კვლავ მე-17 დაწესებულებაში რჩებიან, სადაც არ არის შესაბამისი გარემო მოზარდებისთვის. არის ძალიან პატარა სივრცე, მათი დღის რუტინა აბსოლუტურად ცარიელია. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიეცათ სკოლაში სიარულის შესაძლებლობა და დაწესებულების ფსიქოლოგებსაც ხვდებიან, ფიზიკური გარემო იმდენად მწირია – არ არის სპორტული მოედანი, სივრცეში გადაადგილება შეზღუდულია და ასე შემდეგ. ამ ფონზე ვერ ვიტყვით, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა. თუმცა, ჩვენი შეხვედრების დროს ნებისმიერი პატიმარი აღნიშნავს, რომ მოპყრობა, მათ მიმართ დამოკიდებულება აბსოლუტურად შეცვლილია. ამ მხრივ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, ამ კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია და ბავშვებიც დამშვიდებულები არიან.

***– არიან მათ შორის ისეთები, რომლებიც თქვენთან, ფსიქოლოგებთან ურთიერთობაზე უარს აცხადებენ და საკუთარ თავში არიან ჩაკეტილნი?***

– თუ არის ასეთი შემთხვევა, ეს მისი არჩევანია, მისი გადაწყვეტილებაა. ვერ გეტყვით ისეთ ფაქტს, რომ ჩვენ მოგვინდომებია და იქიდან წამოსულა წინააღმდეგობა, მაგრამ როცა ბავშვი უარს აცხადებს ფსიქოლოგთან ან ნებისმიერ ადამიანთან შეხვედრაზე, რომელიც გარედან შედის, ეს არის მისი უფლება. „არა" არის მისი პოზიცია და ამას პატივს ვცემთ. არანაირი ძალდატანება არ ხდება. აქ დგება სხვა საკითხი, რომ რაღაცნაირად მოხდეს ასეთი ბავშვების მოტივირება, რათა ისინი ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის სერვისებში, რომელიც იმედი მაქვს, რომ ავჭალაში გადასვლის შემდეგ იქნება, როგორც ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კუთხით, ასევე იქნება ფიზიკური დატვირთვის კუთხით სხვადასხვა სპორტული აქტივობების სახით. მგონია, რომ ამით უნდა მოხდეს მათი მოტივირება. შეიძლება მთელი კონტინგენტიდან იყოს მხოლოდ 20 პროცენტი, რომელიც უარს ამბობს ასეთი ტიპის დახმარებაზე.

***– სასჯელის არაადეკვატურობაზე თუ ამახვილებენ ყურადღებას ახალი მსჯავრდებულები?***

– ერთი შემთხვევა მახსენდება – ბავშვი დაკავებული იყო ზაფხულში. გამიჩნდა განცდა, რომ თავისუფლად შეიძლებოდა ეს ბავშვი განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მოხვედრილიყო, რადგან პირველი დანაშაული იყო, ამასთან, იყო მსუბუქი დანაშაული. როგორც თავად მოზარდმა თქვა, ის დააკავეს პროკურორის ახირების გამო, რომელსაც უთქვამს, რომ ახლა ზაფხულია, დამსვენებელი ბევრია და აქედან გამომდინარე, შენისთანა ბავშვს ქუჩაში ვერ დავტოვებო. ზაფხულში მიესაჯა ამ ბავშვს სასჯელი, თუმცა შეეხო ვადაზე ადრე გათავისუფლება და დღეს თავისუფალია.

მას შემდეგ, რაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამა შემოვიდა, ისეთი მოზარდები, რომლებიც პირველად სჩადიან დანაშაულს და მსუბუქი დანაშაულია, სწორედ ამ პროგრამაში ხვდებიან. ამ პროგრამამ უნდა შეამციროს ასეთი ბავშვების რიცხვი საპატიმროში. მე მინახავს დაწესებულებაში ბავშვი, რომელიც ქუჩაში ცხოვრობდა, შესცივდა, მოიპარა ლეიბი და ამის გამო აღმოჩნდა მსჯავრდებული. ქვაბის ქურდობის გამო მსჯავრდებული მინახავს. ახლა ასეთი შემთხვევები შედარებით ნაკლებია, რასაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამა უწყობს ხელს. თუმცა, წეღან რომ მოგიყევით, რატომღაც ასეთი ფაქტებიც არის. შეიძლება სახელმწიფოს ნება იყოს ის, რომ მოქმედებდეს ჰუმანური პროგრამა მოზარდებისთვის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას კონკრეტული პროკურორი იღებს და მოყვანილი მაგალითი ცუდი პრეცედენტია. თუმცა, ამას არ აქვს მასობრივი ხასიათი და ეს არის ერთი. მაგრამ ერთი ბავშვის ცხოვრება და ბედი ისევე უნდა აღელვებდეს ყველას, როგორც ზოგადად ყველა ბავშვის. აქ სტატისტიკა არ წყვეტს ყველაფერს.

***– იუსტიციის სამინისტრო აქტიურად ალაპარაკდა პატიმართა რესოციალიზაციის აუცილებლობაზე. არასრულწლოვანებთან დაკავშირებით როგორ შეიძლება წარიმართოს ეს პროცესი?***

– ამაზე ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობთ. მგონია, იმისათვის, რომ მოზარდმა სერვისი მიიღოს გარეთ, როცა გათავისუფლდება, საჭიროა ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნის დროს დაიწყოს მასთან ამაზე მუშაობა. მან უნდა იცოდეს წინასწარ, რა ტიპის სერვისს მიიღებს, რა ტიპის დახმარებას გაუწევს სახელმწიფო. აქ შეიძლება იყოს სხვადასხვა სასწავლო-სახელობო პროგრამები, გადამზადების კურსები. რა თქმა უნდა, აქ უნდა იყოს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სამუშაო, როცა საქმე ეხება მოზარდებს. დახმარება, სხვადასხვა ტიპის შეიძლება იყოს. ვიღაცას შეიძლება სჭირდებოდეს ემოციაზე მუშაობა, ვიღაცას – გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება და ასე შემდეგ. საჭიროები უნდა დადგინდეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა საპატიმროშია ბავშვი.

მგონია, რომ უნდა ხდებოდეს მათი ოჯახის შესწავლაც, საჭიროა იმ რისკებზე მუშაობა, რომელიც ოჯახის დონეზე შეიძლება არსებობდეს. ოჯახი უნდა მოემზადოს იმისათვის, თუ როგორ მიიღოს უკან მოზარდი. ხშირად ოჯახებიც პრობლემას უქმნიან ამ ბავშვებს იმიტომ, რომ მათ ხვდებათ იარლიყები და სტიგმა არა მხოლოდ მთელ საზოგადოებაში, არამედ ოჯახშიც. ეს პროგრამა უნდა ამოქმედდეს მაშინ, როცა მოზარდი გათავისუფლებისთვის ემზადება, პატიმრობის ბოლო თვეებში, რათა ზუსტად იცოდეს, რა სერვისებს მიიღებს და რაში წაადგება ეს ყველაფერი.

# მოდი, ვნახოთ „ინფო 9"

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

,,ინფო 9"-ის დამსახურება წინასაარჩევნო პერიოდში ბევრჯერ შეფასდა როგორც უპრეცედენტოდ დიდი. კამერიანი გოგო-ბიჭები (ძირითადად ,,ინფო 9"-ის ჟურნალისტები და ოპერატორები ახალგაზრდები იყვნენ) არც 1 ოქტომბრის შემდეგ დაუზოგავთ თავი ინფოელებს. ქვის სროლიდან მოყოლებული გინებით დასრულებული ყველაფერს იტანდნენ ჟურნალისტები. მარტო ის რად ღირს, რომ „ალისტრახოელებთან" თავდაცვას ეწირებოდა მათი დრო და ნერვები. დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში აღნიშნული სააგენტო დღე–ღამის, ამინდის მიუხედავად მუშაობდა. ,,ნაციონალური მოძრაობის" აქტივსა და ადმინისტრაციულ რესურსს ინფოზე მეტად არცერთი მედიასაშუალება არ აშინებდა და სწორედ ინფოელების თავდაუზოგავი მუშაობის გამოც საარჩევნო პროცესი ან ვერ გააყალბეს ან მცირედ გააყალბეს.

როცა ,,ინფო 9" და მეცხრე არხი მედიაბაზარზე გამოჩნდა, მაშინვე ისინი აღიქვეს ბიძინა ივანიშვილის მედიასაშუალებებად. მილიარდერის სურვილისა და დაფინანსების გარეშე ახალი ტელევიზიისა და სააგენტოს შექმნა ქართულ რეალობაში თითქმის ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც ,,ნაციონალური მოძრაობის" საწინააღმდეგო პოლიტიკური ძალის ორგანიზება.

ამ ორი მედია საშუალების ერთი ძალის კუთვნილებას ზედმეტნაკლებად ისიც ამტკიცებს, რომ დები ელიაშვილები მართავენ. ბექაურის მიერ მეცხრე არხიდან წასვლის მიზეზებზე მკითხაობა და ვერსიების დაშვება კარგა ხნის წინ ჩამთავრდა, მაგრამ ამჯერად ინფო 9-ის თანამშრომლების შემცირებისა და ინფო ტივის გაუქმების შესახებ ვისაუბროთ.

მანანა ელიაშვილმა განაცხადა, რომ ინფო ტივის მუშაობის გასაგრძელებლად აღარ დარჩა რესურსებიო. ადამიანურ რესურსებზე თუ ვისაუბრებთ, მაშინ ადვილად ვიტყვით, ამ ტიპის რესურსების ნაკლებობა ნამდვილად არ აწუხებდა ,,ინფოს". ,, ამ ეტაპზე ვაჩერებთ მაუწყებლობას, მაგრამ არ ვიხურებით"! ბუნებრივია, ფინანსური მხარის გამო დაიხურა ის კრეატიული ტელევიზია, რომელიც სხვას რომ თავი დავანებოთ, რეგიონების პრობლემატიკას აშუქებდა ყველა ტელევიზიაზე უკეთ! (თუ ვინმეს უნდა კონკრეტული მაგალითები, არსებობს დამადასტურებელი მასალები, ამჯერად მხოლოდ ერთს ვიტყვი: ,,ვუდ ექსპორტის" მიერ ზემოიმერეთის წაბლნარების გაჩხვასთან დაკავშირებით არცერთ ტელევიზიას იმდენი საეთერო დრო არ დაუთმია ჯამში, რამდენიც–ინფო 9-მ და ინფო ტივიმ. პირადად ჩემი კომენტარები საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და რუსთავი 2-მა საერთოდ არ გაუშვეს ეთერში, დასაქმების ყოფილ მინისტრ ტრაპაიძეს ხომ არ აწყენინებდნენ! )

– რადგან ინფო9 გადადის თვითდაფინანსებაზე, ჩვენ წინაშე იქნება სხვა ამოცანა. იმის მიხედვით, თუ როგორი რეკლამა მოვა, რა პროექტებში მივიღებთ მონაწილეობას და როგორ დაფინანსებას მოვიზიდავთ, შესაბამისად, გვექნება იმისი შესაძლებლობა, გავზარდოთ ან შევამციროთ დაფინანსება. ეს უფრო თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს. დაიდება თანამშრომლებთან ახალი ხელშეკრულებები, ამ აპარატურით გადაღებულ მასალას მოგვაწვდიან მხოლოდ ჩვენ. სხვა საინფორმაციო საშუალებებში მისი განთავსება იქნება ფასიანი,– განაცხადა მანანა ელიაშვილმა.




აქამდე ვის დაფინანსებაზე იყო ,,ინფო 9"?! იმავე დამფინანსებელმა რატომ თქვა უარი დაფინანსების გაგრძელებაზე? მით უფრო, ელიაშვილი აღიარებს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ საინფორმაციო სააგენტოზე მეტად ტელევიზიას შეუძლია გრანტების და საერთოდ, და ფინანსების მოზიდვა!

,,ინფო 9"-ში დასაქმებული თანამშრომლების უმეტესი ნაწილი დეკემბერში სააგენტოდან დაითხოვეს. ზოგგან ექვსი ჯგუფიდან მხოლოდ ერთი დატოვეს, ზოგიერთი (უმეტესად ინფო ტივის თანამშრომლები მეცხრე არხზე გადაიყვანეს).

– მეცხრე არხზეც და ინფო ტვ-იშიც მიმდინარეობს რეორგანიზაცია. მეცხრე არხს არ ჰქონდა ამ დილის გადაცემა– ნიუსი. დილის ნიუსი სრულად დააკომპლექტა ინფო ტვ–ის შემადგენლობამ. სავარაუდოდ ეს პროცესი გაგრძელდება. მოგეხსენებათ, რომ მეცხრე არხზე მიდის რეორგანიზაცია და ის „ნონსტოპ" რეჟიმი, რომელიც არხს ჰქონდა, აღარ იქნება. გამონთავისუფლებულ დროში ჩაჯდება გადაცემები. ეს გადაცემები მზადდებოდა ინფო თV-იში, ახლა მეცხრე არხზე გავა ოდნავ შეცვლილი, თუმცა იგივე წამყვანებით, –აღნიშნა მანანა ელიაშვილმა.

ტელევიზიები და სააგენტოები, თავისთავად ცხადია, ბიზნესია. ის ჟურნალისტები, რომლებიც ისეთ მასალებს მიაწვდიან, რომელიც რეიტინგული იქნება, თავისთავად გაყიდვადი იქნება მედიაბაზარზე, მაგრამ ეს გაყიდვები რამდენად უზრუნველყოფს დასაქმებულებს, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ექსკლუზიური ინფორმაციების მოძიება და გადაღება ,,ინფო 9"-ის ჟურნალისტებს არ გაუჭირდებათ, რადგან მათ წინასაარჩევნო პერიოდში დააგროვეს დიდი გამოცდილება და ხალხთან კონტაქტების გამო ადვილად მიუწვდებათ ხელი განსაკუთრებულ მასალებზე.

შეიძლება ბევრს ახსოვდეს საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ზემოიმერული ვოიაჟი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთში, სადაც მოსახლეობამ დიდი სამოქალაქო პროტესტი დაახვედრა. ,,პროტესტანტებმა" არჩევნების შემდეგ, სამწუხაროდ, ტერიტორიული მართვის ორგანოს ადმინისტრირებისას ვერ მოახერხეს შეთანხმება ვინ იქნებოდა პირველი პირი და უფასო საცირკო-საკონცერტო ნომერი გამართეს. ვინც ამ ამბავს თავისი თვალით უყურა, ამბობდა, რომ თვით სატანასაც რომ ენახა ეს ამბავი, აუცილებლად პირჯვარს გადაიწერდაო. მიუხედავად იმისა, რომ მასალა გადაიღო „ინფო 9"-მ, მაგრამ მის კუთვნილ ინტერნეტგვერდზე ვერ მოვიპოვე. იგივე ფაქტი გაშუქდა მეცხრე არხის მიერ. ხომ არ ხდება მეცხრე არხის მიერ ინფო 9-ის ,,გადაყლაპვა"?

ხალხური ლექსი გამახსენდა და ალუზიით ვკითხულობ:

,,მოდი, ვნახოთ ინფო,
სად წავიდა ინფო?"

# მარჯანიშვილის თეატრმა ანგარიში წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გასული წლის თეატრალური ანგარიში წარმოადგინა. 85 წლის თეატრმა დაწვრილებით ასახა დოკუმენტაციაში ის სიახლეები, მიღწევები თუ წარმატებები, რომლებიც გასულ წელს მოიპოვა. „თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ“, — ასე შეაფასა მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედება გამოცემა „გარდიანმა“.**

— მარჯანიშვილის თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის განვითარებაში, ეროვნული და მხატვრული ღირებულებების დამკვიდრებაში. ეს თეატრი 85 წლისაა. კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისში მეორე ქართული სახელმწიფო თეატრი დააარსა და არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნა თეატრი, სადაც ანტიკური, კლასიკური და თანამედროვე დრამატურგია თანაბრად იდგმებოდა. წლების მანძილზე აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები და კომპოზიტორები: თემურ ჩხეიძე, გიზო ჟორდანია, ვახტანგ კახიძე, მურაზ მურვანიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ბერიკაშვილი, თენგიზ არჩვაძე. 2006 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ახალი თაობის ერთ-ერთი აღიარებული რეჟისორი ლევან წულაძე. ამ მოკლე ხანში თეატრში 40-ზე მეტი ახალი სპექტაკლი დაიდგა. ყოველი პრემიერა დიდი მოვლენაა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრს წარმატებული გასტროლები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2008 წლიდან მარჯანიშვილის თეატრმა დააარსა მცირე სცენა, რომელსაც „სხვენი“ ვუწოდეთ და რომელიც უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს მაყურებელში. თეატრი მუდმივად უღებს კარს ნოვაციებს. სწორედ ტრადიციისა და ნოვაციის შერწყმით და მაყურებელზე ორიენტირებული რეპერტუარით მოახერხა მარჯანიშვილის თეატრმა „საზოგადოებრივი“ თეატრის — სოციალური თეატრის სახელის დამკვიდრება. ამ თეატრის დაარსების დღიდანვე გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რომლის ერთგულიც რჩება დღემდე. თეატრმა, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავზე აიღო ერთგვარი განმანათლებლისა და სოციალური კომენტატორის ფუნქცია.




მარჯანიშვილის თეატრის ცხოვრება მხოლოდ თეატრალური წარმოდგენებით არ შემოიფარგლება. მისი პროფილის შემადგენელი ნაწილია ახალი პიესების მოძიება, კითხვა და დადგმა; სოციალური პროექტები; სამუზეუმო პროექტები; რადგან, როგორც თავად კოტე მარჯანიშვილი ამბობდა, „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა: მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“, — ნათქვამია მარჯანიშვილის თეატრის წლიურ ანგარიშში.

როგორც თეატრის ხელმძღვანელობა იუწყება, მათ მოღვაწეობაში აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი — თეატრი არის სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებების აქტიური მნიშვნელოვანი წევრი, თეატრმა შეიფარა სოხუმის დრამატული თეატრი; თეატრში ექვსი წელია ბინა დაიდო და აქტიურად არის ჩართული რეპერტუარში „თითების თეატრი“; თეატრი მუდმივად ატარებს თანამედროვე ქართული პიესების კონკურსს; რეგულარულად უთმობს თავის ერთ-ერთ სცენას სტუდენტურ წარმოდგენებს; 2009 წლიდან ყოველწლიურად იმართება „სტუდენტური ეტიუდების“ ფესტივალი, რომელიც 2012 წლიდან გახდა საერთაშორისო; აწყობს დისკუსიებს თეატრთან და ლიტერატურასთან დაკავშირებულ თემებზე მწერლებთან, რეჟისორებთან, დრამატურგებთან; აწყობს თეატრის მუზეუმის გამოფენებს; თეატრის მუზეუმი ერთ-ერთი უნიკალურია საქართველოში, კოლექციებით 20-იანი წლებიდან დღემდე. მუზეუმი რეგულარულად მართავს გამოფენებს თეატრის ფოიეში და მუზეუმის დარბაზში; სხვადასხვა აქციებს; გასული წლის ნოემბრიდან ამუშავდა მაყურებლის ბუფეტი; განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობენ ომისა და შრომის ვეტერანები, დევნილები, სოციალურად დაუცველი ოჯახები და უნარშეზღუდულები. ყოველ პარასკევს სპექტაკლები წარმოდგენილია ინგლისური სუბტიტრებით. 2012 წლიდან თეატრმა ბილეთების ონლაინ რეჟიმში გაყიდვა დაიწყო.

— ბილეთების ონლაინ გაყიდვით ჩვენი მიზანია, მაყურებელს შევუქმნათ მეტი კომფორტი, სახლიდან გაუსვლელად ნახოს ადგილების განლაგების სქემა, თვითონვე ამოირჩიოს მისთვის სასურველი ადგილი, მოახდინოს ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათით და შეიძინოს ბილეთი. ამასთან, გამორიცხულია ერთი და იმავე ბილეთის გაყიდვა ორი სხვადასხვა ტერმინალიდან. პირველი დეკემბრიდან 3 თვის განმავლობაში, წელიწადის ყველაზე ცივი სეზონზე, მარჯანიშვილის თეატრში მოქმედებს აქცია 2+1 და 3+2. 2 ბილეთის შეძენის შემთხვევაში, მაყურებელს საჩუქრად გადაეცემა დამატებით 1 ბილეთი. 3 ბილეთის შეძენის შემთხვევაში მაყურებელს საჩუქრად გადაეცემა დამატებით 2 ბილეთი. აქცია ვრცელდება დიდი სცენაზე არსებულ სპექტაკლებზე. რაც შეეხება სტატისტიკას, სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი იყო 382 სპექტაკლი, რომელსაც 45.000 მაყურებელი დაესწრო. მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში 41 სპექტაკლია, რომლებიც თამაშდება დიდ და მცირე სცენებზე. დიდ სცენაზე რეპერტუარშია თოვლის დედოფალი, კოტე მარჯანიშვილი, როგორც გენებოთ, მე დავბრუნდები, რევიზორი, ჟოლო, ქალები, წიგნი, დეკამერონი, მგზავრის წერილები..., ეუხენა ბალბოა, ლუარსაბ თათქარიძე, პიგმალიონი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ანტიგონე, არტ-ხელოვნება, ურიელ აკოსტა, ნაფტალინი. მცირე სცენაზეა სპექტაკლები მიქსედ ემოშენს, სევილიელი დალაქი, მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები, გუშინდელნი, პრემიერა, ბახტრიონი, უფროსი ვაჟი, კრეპის უკანასკნელი ფირი, ზვავი, მოხეტიალე სული, კონტროლიორი, ტყუილ-მართალი, ჩემი ჰამლეტი, ბრმა მხედველი, ონეგინი, ტანგო ნაბიჭვართან, ქალი ძაღლით, ფაუსტი, ექსტრავაგანსა, ფერხული, პეიზაჟს აკლია სითბო, პრივატ ლაივს, სასიყვარულო ბარათები. აქედან 12 სპექტაკლი 2012 წელს არის დადგმული. ერთ-ერთი უახლესი სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში არის „თოვლის დედოფალი“, რომლის რეჟისორიც ციცინო კობიაშვილია. „როდესაც ამბის ბოლომდე ჩავალთ, უფრო მეტი გვეცოდინება, ვიდრე ვიცით. ზღაპრის წარმოშობა ზღაპრულ სამყაროშივეა ჩაკარგული. ზღაპარში ყოველთვის საკვირველი ამბები ხდება. ზღაპარში დრო გაჩერებულია, პერსონაჟებს ასაკი არ ემატებათ, თითქოს ეს ყველაფერი თამაშია. აქ სიკვდილისაც არ ეშინიათ, რადგან იციან, რომ აუცილებლად გაცოცხლდებიან. ზღაპარი არ იწვევს ცრემლებს, არაფერია ისეთი, რაც შეიძლება რეალურად აღქმული იყოს. ზღაპრის სამყარო დროსა და სივრცეში დაკარგულია. აქ ყველა თანაბარია — უფლისწულიც და მათხოვარიც. ეს ის სამყაროა, რომლის ანალოგიც ცხოვრებაში არ გვხვდება და ამიტომაც დადებით გარემოში მოხვედრილი ადამიანები ვამბობთ, თავი ზღაპარში მგონიაო!“, — ამბობს სპექტაკლის რეჟისორი. ჩვენს ანგარიშში აღსანიშნავია პროექტი „თანამედროვე პიესები თემაზე“. თანამედროვე დრამატურგიის განვითარების პროექტის ფარგლებში დაიწერა 9 პიესა, რომელიც შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მარჯანიშვილის თეატრის სპეციალური ინიციატივით, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობის, კერძოდ, ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ საკითხების ირგვლივ საზოგადოებრივი დისკუსიის ხელშეწყობას. მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა პიესების საჯარო კითხვა. რის შედეგადაც გამოვლინდა ორი გამარჯვებული პიესა: სანდრო კაკულიას „ხიდზე წვიმს ან ცრის“ და დავით გაბუნიას „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება“. გამარჯვებული პიესებიდან ერთ-ერთი 2013 წელს დაიდგმება მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, — აღნიშნულია თეატრის ანგარიშში.

მარჯანიშვილის თეატრმა მონაწილეობა მიიღო ბრიტანეთის საბჭოსა და ინგლისის როიალ ქორთის თეატრის მიერ ორგანიზებულ თანამედროვე დრამატურგების პიესების პროექტში, რომლის შედეგად 2013 წლის მარტში ორი გამარჯვებული ქართველი დრამატურგის პიესის პრეზენტაცია ინგლისში შედგება. თეატრი მონაწილეობს ემილია რომანოს თეატრების გაერთიანებასთან (იტალია) ერთად ერთობლივ პროექტში, რომელიც ასევე 2013 წელს უნდა განხორციელდეს. მარჯანიშვილის თეატრმა უმასპინძლა უორქშოფს თეატრის განათების სპეციალისტებისთვის, რომელიც ბრიტანეთის საბჭოს ახალი პროექტია სახელწოდებით „კულისებს მიღმა“. ბრიტანეთის საბჭოს, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე ჩატარდა სამდღიანი უორქშოფი თეატრის განათების სპეციალისტებისათვის, რაც მიზნად ისახავდა ცოდნისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას სპექტაკლების განათების მიმართულებით. უორქშოფი ჩაატარა მრავალმხრივი გამოცდილების მქონე ბრიტანელმა გამნათებელმა მაიკლ მენიონმა.

— გასული წელი მარჯანიშვილის თეატრისთვის მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო გასტროლების მხრივაც. მარტის თვეში თეატრი იმყოფებოდა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ტუნისში, სადაც ტუნისსა და ნაბეულში წარმოადგინა სპექტაკლი „ფაუსტი“, მაისში შავი ზღვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალზე თურქეთის ქალაქ ტრაბზონში თეატრმა ჩაიტანა სპექტაკლი „ფერხული“, შექსპირის ფესტივალისთვის „მსოფლიო გლობუსში“ ლევან წულაძემ საგანგებოდ დადგა „როგორც გენებოთ“, რომელიც 6-11 მაისს კვლავ არის მიწვეული ლონდონში. ლევან წულაძის წარმოდგენა ერთ-ერთია იმ სამი სპექტაკლიდან, რომელიც ფესტივალის 36 მონაწილეთაგან მიიწვიეს. იგივე სპექტაკლი მიწვეული იყო ინდოეთის ქალაქ ბანგალორეში გამართულ შექსპირის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლი „სასიყვარულო ბარათები“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ეგვიპტის ქალაქ კაიროში. რაც შეეხება რეგიონულ გასტროლებს, თეატრის საერთაშორისო დღესთან და ხულოს თეატრის გახსნასთან დაკავშირებით დასმა ხულოსა და ბათუმში ითამაშა ციცინო კობიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „ქალები“, რუსთავის მუნიციპალურ თეატრში — ლევან წულაძის „პიგმალიონი“ და გიზო ჟორდანიას „რევიზორი“, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში — თემურ ჩხეიძის „არტ ხელოვნება“. თავად მარჯანიშვილის თეატრმა უმასპინძლა საერთაშორისო პროექტებს: რუსეთის დიდმა დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული „მარიამ სტიუარტი“, პეტერბურგის თეატრმა „მასტერსკაიამ“ ჩამოიტანა სპექტაკლი „უფროსი ვაჟი“, — ნათქვამია მარჯანიშვილის თეატრის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში.

## SMS-განცხადებები – 3090

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე)! საუკეთესო ფირმების („ბოშისა“ და „არისტონის“) ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ოპტიმალური ფასებით — მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62, 267-82-62 — ემზარ ამნიაშვილი.

● იყიდება მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. ახალაშენებული 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის ჟალუზებით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 22 კმ-ში. საწყისი ფასი 30.000 დოლარი. 15.000 ხელზე და 15.000 დოლარი გრაფიკის მიხედვით. ტელ.: 577-42-41-22, 599-72-27-48. გია.

## განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან (5 სართულიანში) 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიქვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ჩიკაგოში ქორებს ფრთები შეუკვეცეს

„ატლანტა ჰოუქსს“ სერიოზული პრობლემები აქვს. გუნდმა ბოლო 7 მატჩიდან მე-6 წააგო, თანაც ბოლო მარცხი განსაკუთრებით დასაფიქრებელი გამოდგა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა უშუალო კონკურენტ „ჩიკაგოსთან“ 39 ქულის სხვაობით – 58:97 წააგო, თან ისე, რომ ერთი ანტირეკორდი შეემთხვა, მეორეს კი ბეწვზე გადაურჩა.

ასე ცოტა ქულა ატლანტელებს მიმდინარე სეზონში კი არა, წლებია არ ჩაუგდიათ. მატჩის დასრულებამდე 7 წამით ადრე ჯეფ ტიგს წარმატებული გარღვევა რომ არ განეხორციელებინა, „ატლანტა“ დაამყარებდა კლუბის ანტირეკორდს მოგროვებულ ქულებში. „ჰოუქსი“ მაინც ვერ გადაურჩა ანტირეკორდს. პირველ ტაიმში 21 ქულაზე ნაკლები ატლანტელებს არსებობის ისტორიაში არ ჩაუგდიათ. „ჩიკაგოსთან“ მატჩში კი ატლანტელებმა პირველ ნახევარში 20 ქულით ყველა დროის ცუდი შედეგი დააფიქსირეს. ერთადერთმა მოთამაშემ მიაღწია 10 ქულას, ისიც ახალბედა და სრულიად უსახელო მაიკ სკოტმა, რომელმაც შეხვედრა 10 ქულით, 3 მოხსნითა და 1 პასით დაასრულა. ისიც თავისებური ანტირეკორდია, რომ სასტარტო ხუთეულის ვერც ერთი წევრი 10 ქულაზე ვერ ავიდა.

ამ ულიმღამო მატჩში ფაჩულიამ 18 წუთი ითამაშა და 4 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ზაზამ 9-დან 2 ორქულიანი ჩააგდო. ჯოშ სმიტმა შეხვედრა 9 ქულით დაასრულა, ალ ჰორფორდს კი 6 ქულა და 11 მოხსნა ჰქონდა.

იტალიის ჩემპიონატში გამანადგურებელი მარცხი იწვნია ვიქტორ სანიკიძის „სიენამაც“. მონტეპასკელები უშუალო კონკურენტ „დინამო სასარისთან“ 30 ქულით – 66:96 დამარცხდნენ.

ვიქტორ სანიკიძე ერთადერთი ნათელი წერტილი იყო სიენელთა გუნდში. ჩვენებურმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა, თუმცა მოედანზე მხოლოდ 18 წუთი გაატარა. ქართველმა ფორვარდმა როგორც თამაშიდან, ისე საჯარიმოს ხაზიდან ყველა სროლა ჩააგდო. საბოლოოდ ვიქტორმა 4 საჯარიმო, 2 სამიანი და 1 ორიანი მიითვალა და მთლიანობაში 12 ქულა დააგროვა, რასაც 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა. ქართველ კალათბურთელს სიენელთაგან ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი (19) დაუგროვდა, მაგრამ მთლიანობაში გუნდმა ვერ ივარგა და სეზონის ყველაზე გამანადგურებელი მარცხი იწვნია.

ამ წაგების შემდეგ ვიქტორ სანიკიძის „სიენას“ მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუ“ წამოეწია. ორივე გუნდს 11 მოგება და 4 მარცხი აქვთ და ცხრილში 4-5 ადგილებს ინაწილებენ. მომდევნო ტურში, 21 იანვარს, „სიენა“ „რეჯიო ემილიას“ უმასპინძლებს, ხოლო „კანტუ“ ერთი დღით ადრე ვენეციაში „უმანას“ დაუპირისპირდება.

გადავინაცვლოთ საბერძნეთში: გიორგი შერმადინის დებიუტი ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ გასულ კვირაში, ევროლიგის მატჩში შედგა. საქართველოს ნაკრების ცენტრმა უკვე საბერძნეთის პირველობაზეც ითამაშა. სამწუხაროდ, შერმადინი მოედანზე მხოლოდ 3 წუთს იმყოფებოდა.

„ოლიმპიაკოსმა“ „პანიონიოს“ უმასპინძლა და 87:73 დაამარცხა. ქართველმა ცენტრმა მეორე მეოთხედის ბოლო 3 წუთი ითამაშა და 2 ქულა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შერმადინმა ერთადერთი ორქულიანის სროლა მოასწრო, რომელმაც მიზანს მიაღწია.

პირეოსელთაგან 16 ქულით ბომბარდირი გეორგის პრინტეზისი გახდა, ხოლო ვასილის სოპანულისმა 13 მოინაგრა. „ოლიმპიაკოსისთვის“ ეს მე-12 გამარჯვება იყო და შერმადინის გუნდი საბერძნეთის ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობს. მომდევნო ტურში პირეოსული გუნდი სტუმრად პეტრასის „აპოლონს“ შეხვდება.

# შვაინშტაიგერს ვერცხლის სინი მოენატრა

მიუნხენის „ბაიერნის“ მიერ ბუნდესლიგის პირველი წრის ბრწყინვალედ ჩატარების შემდეგ, უკვე აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ რეკორდმაისტერი „ვერცხლის სინს“ დაიბრუნებს. მიუნხენელთა ნახევარდაცვის უდავო ლიდერი, სული და გული ბასტიან შვაინშტაიგერი ამბობს, რომ გუნდისთვის უმთავრესი ბუნდესლიგის მოგებაა.

– ამ სეზონში ჩვენი მთავარი მიზანი ბუნდესლიგის მოგებაა, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით ასპარეზობაზე არ ვამყარებთ დიდ იმედებს. გასულმა სეზონმა „ბაიერნს“ ბევრი იმედგაცრუება მოუტანა და ფაქტია, რომ ვერაფერი მოვიგეთ. ეს, იცით, რატომ მოხდა? იმიტომ, რომ გუნდმა გარკვეულ მატჩებში არ დაუთმო ნეგატიური ასპექტების განხილვას, რითაც მივიღეთ კიდეც წარუმატებლობა. თუმცა ჩვენ უკვე ვისწავლეთ ჩვენს შეცდომებზე და ჩვენი პროგრესი შეუიარაღებელი თვალითაც მშვენივრად ჩანს – ერთ მუშტად შევიკარით და უძლიერეს გუნდად ვიქეცით, – განაცხადა შვაინშტაიგერმა.

ბასტი უშუალო კონკურენტის, დორტმუნდის „ბორუსიას“ თემასაც შეეხო:

– მათგან აუცილებლად უნდა ველოდოთ სიურპრიზებს. დორტმუნდელთა უპირატესობა იმაშია, რომ მეტოქეებმა მათ წინააღმდეგ თამაში არ იციან – ეს თავის თავზე „რეალმა“, „სიტიმ“ და „აიაქსმა“ გამოსცადეს. დარწმუნებული ვარ, „დორტმუნდი“ ჩემპიონთა ლიგაზე საკმაოდ ღრმად შეტოპავს, – ასეთია შვაინშტაიგერის აზრი.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

კოტ დივუარი-ეგვიპტე ................ 4:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-გრანადა ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 18 | 1 | 0 | 64:20 | 55 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 14 | 2 | 3 | 40:18 | 44 |
| 3.რეალი | 19 | 11 | 4 | 4 | 45:20 | 37 |
| 4.ბეტისი | 19 | 11 | 1 | 7 | 30:29 | 34 |
| 5.მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 29:16 | 31 |
| 6.რაიო | 19 | 10 | 1 | 8 | 27:34 | 31 |
| 7.ვალენსია | 19 | 9 | 3 | 7 | 27:27 | 30 |
| 8.ლევანტე | 19 | 9 | 3 | 7 | 24:27 | 30 |
| 9.სოსიედადი | 19 | 7 | 5 | 7 | 28:25 | 26 |
| 10.ვალიადოლიდი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:25 | 25 |
| 11.ხეტაფე | 19 | 7 | 4 | 8 | 26:28 | 25 |
| 12.სევილია | 19 | 6 | 4 | 9 | 23:28 | 22 |
| 13.სარაგოსა | 19 | 7 | 1 | 11 | 20:28 | 22 |
| 14.ბილბაო | 19 | 6 | 3 | 10 | 23:38 | 21 |
| 15.ესპანიოლი | 19 | 4 | 6 | 9 | 20:30 | 18 |
| 16.სელტა | 19 | 5 | 3 | 11 | 19:24 | 18 |
| 17.გრანადა | 19 | 4 | 5 | 10 | 16:29 | 17 |
| 18.მალიორკა | 19 | 4 | 5 | 10 | 18:33 | 17 |
| 19.დეპორტივო | 19 | 3 | 7 | 9 | 23:40 | 16 |
| 20.ოსასუნა | 19 | 3 | 6 | 10 | 14:20 | 15 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მონაკო-ლავალი ........................ 1:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-ეშტორილი ............... 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-ატერასი ....................... 0:1

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ორლანდო ........... 120-91

ბოსტონი-შარლოტი ................ 100:89

მემფისი-კლიპერსი .................... 73:99

ჩიკაგო-ატლანტა ....................... 97:58

ზაზა ფაჩულია: 4 ქულა, 6 მოხსნა

დალასი-მინესოტა ................... 113:98

ფინიქსი-ოკლაჰომა ................. 90:102

იუტა-მაიამი ........................... 104:97

საკრამენტო-კლივლენდი ...... 124:118

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

რობრედო-ლევაინი ..... 6:7;7:6;4:6;4:6

დოდიგი-უ ..................... 7:5;4:6;6:3;6:3

გრანოლერსი-ზემლია ....... 7:6;7:6;6:0

ჩილიჩი-მატოსევიჩი .......... 6:4;7:5;6:2

როსოლი-ბეიკერი ............ 7:6;7:5;6:2

დელ პოტრო-მანარინო ..... 6:1;6:2;6:2

ბეკერი-ბედენე ............ 4:6;6:3;7:5;7:6

სიმონი-ვოლანდრი ...... 2:6;6:3;6:2;6:2

გასკე-მონტანესი .............. 7:5;6:2;6:1

ლუ-რამირეს იდალგო 6:2;6:1;4:6;6:1

**ქალები**

რობსონი-უდენი ....................... 6:2;6:3

სტივენსი-ჰალეპი ................... 6:1;6:1

დეივისი-გავრილოვა ........ 3:6;7:6;4:6

მლადენოვიჩი-ბაბოში ..... 6:3;4:6;11:9

მორიტა-ტატიშვილი ............. 6:3;6:3

პლიშკოვა-დანილიდუ ...... 5:7;7:5;4:6

იოჰანსონი-ამანმურადოვა ..... 4:6;2:6

არვიდსონი-კიუმჰიუმი ........... 6:7;4:6

არნი-ჩეპელოვა ....................... 2:6;2:6

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქეცბაიას ინიციატივას კლუბები მხარს არ უბამენ

სფფ-ში უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელების „12-თა საბჭოს“ სხდომა გაიმართა. ახალ 2013 წელს, საბჭო პირველად შეიკრიბა.

შეხვედრაზე ათი კლუბის წარმომადგენელი გამოცხადდა. არ ესწრებოდნენ მხოლოდ ბათუმის „დინამოსა“ და „ზუგდიდის“ წარმომადგენლები.

სხდომა სტადიონების ლიცენზირების თემით სფფ-ის პრეზიდენტმა გახსნა. მისი თქმით, უეფამ ძალზე გაამკაცრა წესები, ხოლო სფფ-ის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რამდენიმე კლუბს ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი აქვს სტადიონების ინფრასტრუქტურა.

**ზვიად სიჭინავა:**

– უეფაში ლიცენზირების პერიოდი თებერვლიდან აპრილამდეა. საუბარია იმ სტადიონების ლიცენზირებაზე, სადაც ევროთასებზე გასულმა გუნდებმა უნდა ითამაშონ. რაც შეეხება შიდა ჩემპიონატს, როგორც უკვე გითხარით, ჩვენ კლუბები ჯერ კიდევ აგვისტოში გავაფრთხილეთ, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან ლიცენზირების მოთხოვნები გამკაცრდებოდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სტადიონზე სერიოზული პრობლემებია. ჩვენ უკვე გავუგზავნეთ წერილები „სიონს“, „ჩიხურას“, ფოთის „კოლხეთს“, ქობულეთის სტადიონს და მარტვილის „მერანს“. ასე რომ, თუ ეს კლუბები ჩემპიონატის განახლებამდე არ მოაგვარებენ პრობლემებს, მათ თავიანთ სტადიონებზე თამაში აეკრძალებათ და თამაშებს ნეიტრალურ მოედნებზე ჩაატარებენ. აქ საუბარია ვიპ-ადგილებზე, გასახდელებზე, უსაფრთხოების ნორმებზე და ა.შ.



ამის შემდეგ, საბჭოს წევრებს განსახილველად დაურიგდათ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდრის უკვე შემუშავებული ვარიანტი. კლუბებმა კალენდარი მოიწონეს, ხოლო საშეჯიბრო კომიტეტი ამ ვარიანტს დასამტკიცებლად უკვე აღმასკომს წარუდგენს. დამტკიცების შემდეგ კი, სრული ვარიანტი სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია. მან კლუბების ხელმძღვანელებს ის წინადადება გააცნო, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ნაკრების მწვრთნელების გაფართოებულ შეხვედრაზე შეიმუშავეს. კერძოდ, საუბარია ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის მინიმუმ 18-კაციან განაცხადში უნდა ხვდებოდეს ორი 19-21 წლის ფეხბურთელი მაინც, რათა უფროსი კოლეგების გვერდით გაიზარდონ და მეტი სათამაშო გამოცდილება მიიღონ.

**თემურ ქეცბაია:**

– რამე გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, თორემ, აგერ უკვე რამდენი ხანია, ერთსა და იმავე ადგილს ვტკეპნით. მართლაც რომ შთამბეჭდავი წარმატებები გვაქვს 17 და 19-წლამდე ნაკრებებში. ამის შემდეგ კი, ამ ახალგაზრდებს ვკარგავთ. ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება 21-წლამდელთა ნაკრების შედეგებზე. ეს ბიჭები უთამაშებლები არიან, შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, მიდიან უაზრო სინჯებზე და ასე შემდეგ... ჩვენი ინიციატივა იმას ემსახურება, რომ ჩვენს ფეხბურთს თაობა გავუზარდოთ და ის ნიჭიერი ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობენ, არ დავკარგოთ და განვითარების საშუალება მივცეთ, უფრო მოტივირებულები გავხადოთ.

საკითხის გარშემო ხანგრძლივი კამათი და მსჯელობა გაიმართა. კლუბების წარმომადგენლებმა განსხვავებული პოზიციები დააფიქსირეს. „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ კი განაცხადა, რომ ის თავის კლუბში ამ პოლიტიკას აუცილებლად გაატარებს და ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსს მისცემს. რამდენიმე კლუბმა ნაკრებების მწვრთნელების ინიციატივა არ გაიზიარა და გამოთქვეს ვარაუდი, რომ ამ წესის შემოღების შემთხვევაში, კლუბებს გარკვეული მიმართულებებით პრობლემები შეექმნებათ. კერძოდ, დაიჩაგრებიან ასაკოვანი ფეხბურთელები; რომ შესაძლოა, ამან გუნდების შედეგებზე გავლენა იქონიოს და ა.შ.

სხდომაზე საბოლოოდ დადასტურდა, ჯერ კიდევ გასულ წელს, კლუბების მიერ შემოთავაზებული ერთი ინიციატივის ოფიციალურად დაკანონებაც. საუბარია, ლეგიონერებზე სავალდებულო გადასახადის მოხსნაზე (15.000 ლარი). როცა სფფ-ის აღმასკომი ამ საკითხსაც დაამტკიცებს, ძალაში შევა წესი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბები, პირველ სამ დამატებულ ლეგიონერზე სავალდებულო შემოსატანს აღარ გადაიხდიან. ხოლო სამს ზემოთ, ყოველ ახალ ლეგიონერზე გადასახადის გადახდა კვლავ მოუწევთ. ეს შეღავათი არ გავრცელდება ჩემპიონატის პირველ და ქვედა ლიგებზე.

**ილია კოკაია:**

– ლეგიონერებთან დაკავშირებული საკითხი, ჩვენი, კლუბების ინიციატივა იყო და ვთვლით, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. თუმცა, ფედერაციის პოზიციაც აბსოლუტურად გასაგებია, რომ არ სურდათ ჩემპიონატში დაბალი დონის ლეგიონერების შემოდინება მომხდარიყო. საბოლოოდ, ფედერაცია ამ შეღავათზე დაგვთანხმდა. ექსპერიმენტის სახით, ერთი წელი დავაკვირდებით, რა შედეგებს მოგვიტანს ეს ცვლილება და თუ არ გაამართლებს, მისი გაუქმება პრობლემა არ იქნება. რაც შეეხება თემურ ქეცბაიას და სხვა მწვრთნელების ინიციატივას ახალგაზრდა ფეხბურთელებთან დაკავშირებით, ერთს გეტყვით: როცა ვმსჯელობთ და ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ განვავითაროთ ქართული ფეხბურთი, აზრი აუცილებლად უნდა ვკითხოთ ნაკრებების მწვრთნელებს და მარტო ჩვენს ნაჭუჭში არ უნდა გამოვიკეტოთ. ეს ჩვენი საერთო პრობლემაა და გამოსავალიც ერთად უნდა ვიპოვოთ. პირადად მე, კონსულტაციებს გავივლი ჩემი გუნდის მწვრთნელებთან და დიდი ალბათობით, ამ წინადადებას მივიღებთ. ვეცდებით, კლუბის პოლიტიკა ისეთი მიმართულებით წავიყვანოთ, რომ 2-3 ნიჭიერ და პერსპექტიულ ახალგაზრდას დაწინაურებისა და თავის გამოჩენის შანსი მუდმივად მივცეთ. იმას ვერ ვიტყვი, რომ ძირითად შემადგენლობაში ვინმეს ადგილი დაჯავშნული ექნება, მაგრამ ამ საკითხზე რომ აქტიურად ვიმუშავებთ, ამას გპირდებით.

**აკა ქავთარაძე, რუსთავის „მეტალურგის“ გუნდის უფროსი:**

– ლეგიონერზე გუნდი 15.000 ლარს აღარ გადაიხდის, თუ სამზე მეტი უცხოელი არ ჰყავს. მე რომ მკითხოთ, ეს ქართული ფეხბურთის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. მაგრამ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის მოსაზრება იყო, როდესაც ლეგიონერები გვეყოლება, ადგილობრივებს კონკურენციისთვის მეტი სტიმული გაუჩნდებათო. ჩვენ ლეგიონერები, ფაქტობრივად, არ გვყავს და ეს პრობლემა ნაკლებად გვაწუხებს. მაგრამ დღეს უფრო მეტად იყო ლაპარაკი 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების მოთამაშეთა დასაქმება-გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, 18-კაციან განაცხადში ორი ასეთი მოთამაშე მაინც რომ შევიყვანოთ. მაგრამ ჯერ ვერ დავინახეთ, ეს არის თუ არა გამოსავალი. ამიტომ უნდა განვიხილოთ, რა და როგორ აჯობებს. შესაძლოა, ამან უხერხულობა გამოიწვიოს გუნდებში.

ლეგიონერებზე გადასახადის მოხსნასთან დაკავშირებით თავისი აზრი აქვს ნაკრების მწვრთნელს.

**თემურ ქეცბაია:**

– კლუბს ლეგიონერის ჩამოყვანა 15.000 ლარი თუ არ ულირს, ან ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში ძირითად შემადგენლობაშიც რომ ვერ ხვდება, მის ჩამოყვანას რა აზრი აქვს? უცხოელთა სკამზე დასმას, განაცხადში ისევ ქართველების შეყვანა აჯობებს, ამაზეა ლაპარაკი. რა დასამალია, ხშირად ეროვნული ნაკრების შეკრებაზე მოთამაშეების ჩამოსვლა სახვეწარი გვიხდება, რადგან კლუბებში პრობლემები ექმნებათ. ასეთ დროს იდეალური ვარიანტი ადგილობრივ ჩემპიონატში დასაქმებულთა გამოძახებაა. ჩემპიონატში წინსვლა არ არის და რაღაც ჩვენი მხრიდანაც უნდა გავაკეთოთ. ჩვენი პოზიცია იციან. ახლა მათი ჯერია.

# დინამო უცხოელებით ძლიერდება, ჩიხურა თბილისში იწყებს

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა, თბილისის „დინამომ“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 15 იანვარს დაიწყო.

წინა დღეს კი დინამოელებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბაზასთან არსებულ კლინიკაში სამედიცინო შემოწმება დაასრულეს.

**მერაბ ვარძუკაშვილი, დინამოს მთავარი ექიმი:**

– სამედიცინო შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელია. ეს შედეგები შესაბამისობაში მოდიოდა იმ სპეციალურ ინდივიდუალურ მოსამზადებელ პროგრამასთან, რომელიც ფეხბურთელებს შეკრების დაწყებამდე სამწვრთნელო-სამედიცინო შტაბის ერთობლივი გადაწყვეტილებით დაურიგდათ.

„დინამოში“ საკმაო ცვლილებებია მოსალოდნელი. ჩეხური მედიის ცნობით, გადინამოელება რამდენიმე იქაურ ფეხბურთელს ელის.

თავად „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ჩეხურ მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ ზამთარს რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდებოდა და მათ შორისაა 27 წლის ჩეხი ნახევარმცველი პეტრ ტრაპი. გარდა ამისა, უჰრინი კიდევ ერთ ფეხბურთელს, 29 წლის სლოვაკი შემტევი ნახევარმცველის, პეტერ გრაიციარით არის დაინტერესებული.

**პეტრ ტრაპი:**

2002-06 – „ბლშანი“ (14 მატჩი, 0 გოლი), 2004-05 განათხოვრებით იყო „ჰავრანში“, 2006-08 წლებში „პლზენში“ ითამაშა და 61 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა, 2009-10 წლებში პრაღის „სლავიაში“ 34 შეხვედრაში 4 გოლი მიითვალა, 2011 წელს დაბრუნდა „პლზენში“ და 17 თამაში ჩაატარა უგოლოდ.

პეტრ ტრაპს 4-ჯერ უთამაშია ჩეხეთის 21-წლამდელთა ნაკრებში, ერთხელ კი ეროვნულ ნაკრებშიც გამოსულა – 2011 წელს პერუსთან ამხანაგურში.

**პეტერ გრაიციარი:**

2011 წლიდან ირიცხება პრაღის „სპარტაში“ და 28 მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი. უშუალოდ ამ სეზონის სტატისტიკა კი ასეთია – 7 მატჩი, 0 გოლი.

გრაიციარი 2004-08 წლებში სლოვაკურ „ნიტრაში“ თამაშობდა და 123 შეხვედრაში 15 გოლი გაიტანა, 2008-10 წლებში პრაღის „სლავიაში“ 31 თამაშში 5-ჯერ გაიტანა, შემდეგ ერთი სეზონი თურქულ „ქონიასფორში“ გაატარა (28 მატჩი, 7 გოლი), საიდანაც მიაშურა კიდეც „სპარტას“.

გრაიციარს 3 შეხვედრა ჩაუტარებია სლოვაკეთის ნაკრებში და 1 გოლი გაუტანია – 2010 წელს ბოსნიასთან 2:3 წაგებულ თამაშში.

როგორც ხედავთ, ტრაპისა და გრაციარის გზები „სლავიაში“ 2009-10 წლებში გადაკვეთილა.

გარდა ამისა, ცნობილი ხდება, რომ „დინამოს“ მაისურს მოირგებს გიორგი შაშიაშვილი. ეს შაშიაშვილის მეორე დაბრუნება იქნება ქვენის ყველაზე ტიტულოვან გუნდში. შეგახსნებთ, რომ შაშიაშვილი სეზონის დასაწყისში გორის „დილას“ შემადგენლობაში ასპარეზობდა.

საჩხერის „ჩიხურა“, რომელმაც სეზონის პირველი ეტაპი მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა, 16 იანვარს თბილისში შეიკრიბება და სეზონის განახლებისთვის მზადებას დაიწყებს. სოსო ფრუიძის გუნდს ორჯერადი ვარჯიშები ექნება.

„ჩიხურადან“ ჯერ არავინ წასულა. დავით დილმელაშვილს, რევაზ გოცირიძეს, გიორგი სომხიშვილსა და ედიკ საჯაიას კონტრაქტი კი დაუსრულდათ კლუბთან, მაგრამ შეთანხმებული ამბავია, რომ ეს ოთხეული ისევ „ჩიხურაში“ ითამაშებს.

სოსო ფრუიძის გუნდი თბილისში რვა დღეს დაჰყოფს. თუ ამინდმა ხელი შეუწყო, კიდევ ამდენ ხანს გააგრძელებს დედაქალაქში მზადებას, მერე კი ანტალიაში აპირებს წასვლას.

# ზვიადაურის ნათესავებმა თანამდებობებიდან გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერეს



„ქართული ოცნებიდან“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ნათესავებმა, რომლებიც თანამდებობებზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაინიშნენ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები დაწერეს. „ისეთი ამბები ატეხეთ, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და მთელმა ზვიდაურებმა განცხადებები დამიწერეს“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა.

„ბერდია ზვიადაურის და ჩემი ცოლისდის შემთხვევაში განცხადებები უკვე დავაკმაყოფილე, დანარჩენები ჯერ არა. დაველაპრაკები, იქნებ გადაიფიქრონ“, – აღნიშნა გამგებელმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში,

თანამდებობებზე, პარლამენტის წევრის ზურაბ ზვიადაურის ნათესავების მასობრივად დანიშვნის შესახებ სტატია 8 იანვარს გამოაქვეყნა. „ქართული ოცნებიდან“ ახმეტის გამგებლად დანიშნულმა ბექა ბაიდაურმა თანაშემწედ ცოლისდა, 23 წლის მაგდა ლაგაზაური დანიშნა. გამგებლის მოადგილედ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილი ბერდია ზვიადაურიდაინიშნა.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დანიშნული მერაბ ზვიადაურიც

დეპუტატის ბიძაშვილია. გამგებლის მოადგილის ბერდია ზვიადაურის ცოლი ლელა ახმეტელი დაინიშნა ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ. ბექა ბაიდაურიც ზურაბ ზვიადაურის მეგობარია. ზვიადაურის ნათესავია ზაზა მებაღიშვილიც, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ახმეტის სერვის – ცენტრის უფროსად დაინიშნა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ზაზა მებაღიშვილის შვილი ზურაბ ზვიადაურის დის შვილის ცოლია“, – წერდა კახეთის საინფორმაციო ცენტრი სტატიაში სათაურით: „ცოლი, ცოლისდა, ბიძაშვილები და მძახალი – ზურაბ ზვიადაურის კლანი ახმეტაში“. სტატიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებში. სტატიაზე მოცემულ მასალებზე დაყრდნობით, ინფორმაცია გაავრცელეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმაც.

11 იანვარს, როცა კახეთის საინფორმაციო ცენტრი ზურაბ ზვიადაურს სხვა საკითხზე კომენტარის ჩასაწერად დაუკავშირდა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სტატიის ავტორ ჟურნალისტს „ანგარიშის ჩაბარება“ მოსთხოვა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ზურაბ ზვიადაურის ნათესავია ახმეტის სამაშველო სამსახურის უფროსად დანიშნული იმედა ზვიადაურიც, რომლის ძმაც მერაბ ზვიადაური გამგეობაში ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელია. ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილი და გამგებლის ბექა ბაიდაურის დეიდაშვილია კულტურის ცენტრში სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნული მინდია ზვიადაური.

**ნათია დანელიშვილი**

*კახეთის საინფორმაციო ცენტრი*

# ოთარ მეღვინეთუხუცესს ხორავას პრემია მიანიჭეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომლებიც ქართული თეატრალური ცხოვრების ფერხულში არიან ჩაბმული და თეატრმცოდნეები თუ კრიტიკოსები საქართველოს მასშტაბით განხორციელებული თეატრალური წარმოდგენების შესახებ მსჯელობენ.

ქართული თეატრის დღე – პროფესიული დღესასწაული მიულოცა ხელოვანებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. მის განცხადებაში ნათქვამია:

– დღეს ქართული თეატრის დღეა. დიდია ქართული თეატრის როლი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და მის შენარჩუნებაში, ქართული კულტურის განვითარებაში, ერის სულიერების ამაღლებაში. ვულოცავ ქართული თეატრის მოღვაწეებს თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს. ვუსურვებ მათ, რომ კვლავაც არაერთხელ მიენიჭებინოთ სიხარული მაყურებლისთვის და არნახულ სიმაღლეზე აეყვანოთ ქართული თეატრალური ხელოვნება.

რუსთაველის თეატრში ღონისძიების დასასრულს იმ ადამიანების დაჯილდოების დროც დადგა, რომლებიც თეატრალურმა საზოგადოებამ გამორჩეულებად მიიჩნია და უმაღლესი თეატრალური პრემიები მიანიჭა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია კინომსახიობთა თეატრის მსახიობმა გოგა პიპინაშვილმა მიიღო, სანდრო ახმეტელის სახელობის პრემია – რეჟისორმა და მსახიობმა გოჩა კაპანაძემ, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია – კინომსახიობთა თეატრის მსახიობმა ნინელი ჭანკვეტაძემ, აკაკი ხორავას სახელობის პრემია – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა, ხოლო პეტრე ოცხელის სახელობის პრემია მხატვარ თემურ ნინუას გადაეცა.

თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელმა გოგი ქავთარაძემ განაცხადა:

– ჩვენ ყოველ წელს საზეიმოდ აღვნიშნავთ ქართული თეატრის დღეს და სხვადასხვა საიუბილეო თარიღებს. სხვადასხვა წლებში ვიზეიმეთ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის 130 წლის იუბილე, ოთარ მეღვინეთუხუცესის 80 წლის იუბილე, წელს აღვნიშნეთ თენგიზ არჩვაძისა და ნოდარ მგალობლიშვილის 80 წლის იუბილე და ტრადიციულად დავაჯილდოვეთ ის ადამიანები, რომლებიც ამას იმსახურებდნენ და, რაც მთავარია, დავაჯილდოვეთ იმ ადამიანების სახელობის პრემიებით, რომლებიც ქართულ თეატრში კლასიკოსებად და გენიოსებად არიან მიჩნეული. მიმაჩნია, რომ ყველა პრემია მნიშვნელოვანია და იმ მსახიობებისთვის უძვირფასესია, რომლებიც მათი მფლობელები გახდებიან. ყოველი წლის 14 იანვარს ჩვენ ასევე ვაჯამებთ გასული წლის შედეგებს, ვმსჯელობთ, რა იყო ქართულ თეატრალურ სამყაროში კარგი, რა – ცუდი, სად უჭირს ამა თუ იმ თეატრს, რა პრობლემები აქვს, სად რომელი სპექტაკლი დაიდგა, რა სიახლეებია დასანერგი, ვის უნდა შველა და ა.შ.

**ოთარ მეღვინეთუხუცესი:**

– ჩემს ასაკში, წესით, ადამიანს აღარაფერი არ უნდა აკვირვებდეს, იმდენი რამ მაქვს ნანახი და გადატანილი, თუმცა, გამოგიტყდებით და ამ პრიზმა გამაკვირვა. აკაკი ხორავას სახელობის პრემია ნებისმიერი მსახიობისთვის უდიდესი ჯილდოა. ნამდვილად საკვირველება იყო ჩემთვის იმის აღქმა, რომ აკაკი ხორავას სახელობის პრემიის ღირსად ჩამთვალეს. დიდი მადლობა ყველას და ჩემს კოლეგებს ამ დღეს განსაკუთრებულად მივულოცავ.



**გოჩა კაპანაძე:**

– სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიის მიღება უდიდესი პასუხისმგებლობა და ბედნიერებაა. ვგრძნობ, რომ სულ სხვა დამოკიდებულება უნდა მქონდეს ამიერიდან ჩემი პროფესიის, ჩემი კოლეგების და თვითონ ჩემი თავის მიმართაც. სანდრო ახმეტელი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო ქართულ თეატრალურ სივრცეში და ორმაგად სასიხარულოა, რომ მისი სახელობის პრემიის მფლობელი გავხდი. ვულოცავ ჩემს კოლეგებსაც პრემიების მიღებას, ყველას ვულოცავ ქართული თეატრის დღეს და ვისურვებდი, რომ კიდევ უფრო ბევრი კარგი და საინტერესო სპექტაკლი დადგმულიყოს საქართველოს თეატრებში.

**ეკა ირემაშვილი**

# ბექა გოჩიაშვილი: „არავისზე დაბოღმილი არ ვარ!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მისი მეგობრის ბინის ქურდობის ფაქტზე დაიბარეს და 6 საათის განმავლობაში კითხავდნენ. ჯაზმენის თქმით, მასზე ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა და ემუქრებოდნენ, რომ საზღვარზე არ გაუშვებდნენ.

ბექა გოჩიაშვილი წლებია საზღვარგარეთ, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს. მან პირველი ალბომი საქართველოში ჩაწერა. ცნობილია, რომ ის ამერიკაში აწ უკვე ყოფილი კულტურის მინისტრის ნიკოლოზ რურუას პატრონაჟით მოხვდა. ალბომის ჩაწერას მუსიკოსმა საგანგებო პრესკონფერენციაც მიუძღვნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, რომელსაც ბექასთან ერთად მუსიკოსი ლენი უაითი და მომღერალი ნატალია ქუთათელაძე ესწრებოდნენ.

ბექა გოჩიაშვილის პირველ ალბომში 12 კომპოზიციაა შესული, აქედან 7-ის ავტორი თავად ბექაა. ახალგაზრდა მუსიკოსმა თავისი პირველი ალბომი ნიუ იორკში ჩაწერა. დისკის დიდი ნაწილი ბათუმის ჯაზფესტივალზე უკვე გაიყიდა. ალბომს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც გაიტანენ, მაგრამ არა – რუსეთში. ევროპის ბაზარს კი „იუნივერსალ მიუზიკ გრუფი“ მოამარაგებს. ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის ალბომის პრეზენტაცია ნიუ იორკში, ერთ-ერთ ცნობილ ჯაზ-კლუბშიც დაიგეგმა.

ბექა გოჩიაშვილის მიერ დაწერილი კომპოზიციების გარდა, მის პირველ ალბომში შესულია სტენლი კლარკის, ლენი უაითისა და ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის კომპოზიციები. გია ყანჩელის ორ სიმღერას, „ჰერიო ბიჭებო“ და „როცა აყვავდა ნუში“, მომღერალი ნატალია ქუთათელაძე ასრულებს.

ბექა გოჩიაშვილი პატარა ასაკიდან მოექცა ჯაზის მოყვარული საზოგადოების ყურადღების ცენტრში. 13 წლის მუსიკოსმა შვეიცარიის ქალაქ მონტროში გამართულ ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსზე გამარჯვება მოიპოვა. ამ კონკურსის ისტორიაში ყველაზე მცირეწლოვანი შემსრულებელი პირველი ქართველი ბექა გოჩიაშვილი იყო, რომელიც ამ პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობდა. შვეიცარიაში ჯაზფესტივალის პარალელურად ახალგაზრდა პიანისტთა, გიტარისტთა და ვოკალისტთა კონკურსი უკვე წლებია იმართება. ფესტივალში საკმაოდ ძლიერი კონკურსანტები მონაწილეობდნენ. 90 გამომსვლელთა შორის ყველაზე ხანგრძლივი ოვაციები სწორედ 13 წლის ბექა გოჩიაშვილმა დაიმსახურა. სპეციალისტებმა მას პატარა ვირტუოზი უწოდეს. ვირტუოზს აზერბაიჯანელ შემსრულებელთან ერთად პირველი ადგილი მიაკუთვნეს. ამჟამად ბექა 16 წლისაა. მას მუსიკალური ნიჭი ორი წლის ასაკში აღმოაჩნდა, უკვე 4 წლისა ფორტეპიანოზე გარკვეულ კომპოზიციებს უკრავდა, ამიტომაც მისი მომავალი სწორედ მუსიკალურ სამყაროს დაუკავშირდა. პატარა ვირტუოზმა მუსიკალურ სკოლაში ჩააბარა და სწავლა თენგიზ ჩიტაიშვილის კლასში განაგრძო. მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. ბექას მოპოვებული აქვს არაერთი დიპლომი – ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ქართულ-გერმანულ ფესტივალში მონაწილეობისთვის („თბილისი-2003“), პეტრე ჩაიკოვსკის 165 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობისთვის („საბავშვო ალბომი“), 2004 წელს გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისთვის. 9 წლიდან ეუფლება ჯაზის ხელოვნებას ზურაბ რამიშვილის ხელმძღვანელობით. ლატვიაში მონაწილეობდა ჯაზის ფესტივალში ცნობილ მუსიკოსებთან – ლენი უაითთან და ვიქტორ ბეილისთან ერთად, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ მეათე საერთაშორისო ფესტივალში „ქართველები უკრავენ ჯაზს“.

როგორც მუსიკოსი აცხადებს, მისთვის მუსიკა ყველაფერია. მისი თქმით, იქ, სადაც თავისუფლება იზღუდება, მუსიკა ვერ იარსებებს. უკვე 12 წელია, რაც მისი ცხოვრება და ჯაზი ერთმანეთისგან განუყოფელი ნაწილებია. ბექას მამაც მუსიკოსია, ისიც პიანისტი. სწორედ მამის დამსახურებაა, რომ ბექას ჯაზი ასე უყვარს. როგორც მუსიკოსი აღნიშნავს, კიტ ჯარეტი მისთვის დღემდე ყველაზე საყვარელი მუსიკოსია.

დიდი ხნის განმავლობაში ბექას არსებობა მხოლოდ ჯაზის მოყვარულთა ვიწრო საზოგადოებამ იცოდა, სანამ თბილისს საქმიანი ვიზიტით კონდოლიზა რაისი არ ეწვია. ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ ის სადილზე „კოპალაში“ მივიდა, სადაც ბექას უნდა დაეკრა. ორი-სამი აკორდის აღების შემდეგ კონდოლიზა ახალგაზრდა პიანისტის ნიჭით აღფრთოვანდა და ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა კიდეც, რომ ბექა ყველაზე ნიჭიერი ჯაზმენია. ქართველი მუსიკოსი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა ელჩმა ჯონ ტეფტმაც მიიღო და სწორედ მისი დახმარებით ქართველმა მუსიკოსმა ამერიკის შეერთებული შტატების პიანისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ჯოელ ჰარისონი გაიცნო. ბექა ბერკლიში აპირებდა ჩაბარებას, მაგრამ ჰარისონის გაცნობის შემდეგ ჯულიარდში სწავლა გადაწყვიტა. მართლაც, ბექა ნიუ იორკში გაემგზავრა, სადაც ჯულიარდის სკოლისა და მანჰეტენის მუსიკის სკოლის კონკურსებში მიიღო მონაწილეობა. ნიჭიერი მუსიკოსი ორივეგან მიიღეს.

ბექა ბედნიერია, რომ მიეცა შანსი, „გრემის“ დაჯილდოების ცერემონიალზე გამოსულიყო. იგი აღმოჩნდა იმ ახალგაზრდა შემსრულებლებს შორის, რომლებიც 14 შტატის 29 ქალაქიდან „გრემიზე“ გაემგზავრნენ. ეს ბექასთვის მუსიკალურ ინდუსტრიაში დიდი გამოცდილების მიღება აღმოჩნდა. ქართველი მუსიკოსი „გრემიზე“ პროდიუსერ დონ სიკლერის მეშვეობით მოხვდა, სადაც სამი თემა ძალიან ცნობილ საქსოფონისტ ჯო ლოვანოსთან ერთად დაუკრა. ბექა გოჩიაშვილმა ქართველი მსმენელისთვის კონცერტი ბათუმის ჯაზფესტივალზე გამართა. შავი ზღვის ჯაზფესტივალის ფარგლებში ჯაზის მოყვარულებისთვის ბექა გოჩიაშვილის ვარსკვლავურმა სექსტეტმა დაუკრა. საღამო ჩოგბურთის კორტებზე გაიმართა და ქართველ მუსიკოსთან ერთად საფესტივალო პროგრამაში ვირტუოზმა პიანისტმა ჯოი კალდერაცომაც დაუკრა.

მუსიკოსს სჯერა, რომ წინ კიდევ დიდი წარმატებები ელოდება და თვითონაც მაქსიმალურად არის მოტივირებული, საქართველო საკადრისად ასახელოს, თუმცა საქართველოში ჩამოსულს ასეთი დამოკიდებულება და სამართალდამცველების ზეწოლა აწუხებს და გული სტკივა, რომ ასე მოექცნენ.

**ეკა ირემაშვილი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 3. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება; 4. ადენის ყურეში მდებარე აფრიკული სახელმწიფო; 5. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 6. მზის სისტემის პლანეტა; 11. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 13. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 14. ჩაის დეგუსტატორი; 15. გამაგრილებელი სასმელების გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 17. გაზაფხულის ყვავილი; 18. ფულადი ჯილდო; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად**: 7. ფოლადის ბაგირი; 8. მანათობელი მწერი; 9. სამშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 10. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონურ სახლებში; 12. სამხედრო სატუსაღო; 14. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 16. ზანგური ხალხური მუსიკის ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 18. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 20. პოეტური ქმნილება; 21. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 22. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში; 23. ერთგულების მტკიცე პირობა; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. „ჰუნდაი“; 2. „მითანა“; 3. ნონსენსი; 4. „ფიგარო“; 6. სელადონი; 8. ახმეტა; 11. ბეისბოლი; 12. შარიათი; 16. „გაუდა“; 17. თაობა; 18. პულსი.

**თარაზულად**: 1. ჰეტმანი; 5. მარსი; 7. სომელიე; 9. დიხაშხო; 10. ცანგალა; 13. ტექსელი; 14. ბესონი; 15. „იავა“; 19. „სირტაკი“; 20. მარჩვიბი; 21. „ნაბელლავი“; 22. შიიზმი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ტემპერა; 2. ურეკი; 3. პურიტანი; 4. უდიერი; 5. პლანერი; 6. „ჩარდაში“; 11. ფრეზა; 13. ასტურია; 14. იონოსფერი; 15. „დეპორტივო“; 17. ამპერი; 18. პლაზმა; 19. პერო.

**თარაზულად**: 7. ცეზურა; 8. „ბუნდესლიგა“; 9. ოპტიკა; 10. ჩიჩერონე; 12. კატამარანი; 14. ისინდი; 16. „შარტრეზი“; 18. პენელოპა; 20. ტაქსა; 21. ერა; 22. ბენიტესი; 23. „ალია“; 24. ჩოხატაური.

# გაეროს მალიში საფრანგეთის ინტერვენციას მხარი დაუჭირა

გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე საფრანგეთმა მალიში სამხედრო ოპერაციის ჩატარებისთვის სრული მხარდაჭერა მიიღო.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანაში საფრანგეთის ინტერვენცია „კონსტიტუციური წესრიგის დამყარებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“ შეუწყობს ხელს.

სხდომის შემდეგ საფრანგეთის წარმომადგენელმა გაეროში განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა მალიში აფრიკული კავშირის ძალების დაჩქარებული გაგზავნა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორან ფაბიუსის განცხადებით, საფრანგეთი საკუთარ თავზე არ აიღებს რეგიონში მშვიდობის ერთადერთი გარანტორის როლს.

ფრანგული მედია წერს, რომ სავარაუდოდ მალიში საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლობა გაიზრდება და ჯარი ამ ქვეყანაში დიდი ხანი დარჩება.

ამ დროისათვის საფრანგეთს ქვეყანაში 550 სამხედრო უკვე გაგზავნილი ჰყავს, უახლოეს დღეებში მათი რაოდენობა, შესაძლოა, 2500-მდე გაიზარდოს. მალიში საფრანგეთმა სამხედრო ოპერაცია გასულ კვირას დაიწყო, რომლის მიზანიც ქვეყნის დედაქალაქ ბამაკოდან და ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რეგიონებიდან შეიარაღებული მებრძოლების გაყრაა. ოპერაციის დაწყებიდან მალიში ქვეყნის 11 სამხედრო და ერთი ფრანგი პილოტი დაიღუპა. მოკლულია, ასევე, ასი ისლამისტი მებრძოლი.

გუშინ, 14 იანვარს, ისლამისტმა ბოევიკებმა სამთავრობო ძალებს ქალაქი დიაბალი წაართვეს, რომელიც მალის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ქვეყნის აღმოსავლეთით, საფრანგეთის ავიაცის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად, ამბოხებულებმა უკან დაიხიეს.

გაეროს წესდების შესაბამისად, უშიშროების საბჭოს აქვს დაკისრებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. იგი უფლებამოსილია იმოქმედოს გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით, რომლებიც ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი. უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისათვის საფრთხის არსებობას, მშვიდობის დარღვევას, აგრესიის აქტს, იღებს რეკომენდაციებს და წყვეტს, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ან მისი აღდგენისათვის. უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საერთაშორისო კანონის ძალა აქვს და საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და სახიფათო სახელმწიფოების დამორჩილებისათვის ძალადობის გამოყენების უფლებასაც იძლევა.

უშიშროების საბჭოს 15 წევრი ჰყავს, მათგან 5 მუდმივი წევრია (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), დანარჩენი 10 კი ყოველ მეორე წელს აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ. პროცედურულ საკითხებზე საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მუდმივ წევრთა ერთსულოვანი თანხმობით (გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ მას მხარს არ უჭერს რომელიმე წევრი) და იგი სავალდებულოა გაეროს ყველა წევრისათვის.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# პაკისტანის სასამართლომ პრემიერ-მინისტრის დაპატიმრების ორდერი გასცა




პაკისტანის უზენაესმა სასამართლომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, რაჯა ფერვეზ აშრაფისა და სხვა 15 ბრალდებულის დაპატიმრების ორდერი გასცა.

„ევრონიუსის“ ინფორმაციით, სასამართლომ მათ ბრალი კორუფციის მუხლით წაუყენა. სამართალდამცავებს 24 საათი აქვთ მაღალჩინოსნისა და სხვა ბრალდებულების დასაკავებლად.

სასამართლომ ეს გადაწყვეტილება პაკისტანის ქუჩებში მასობრივი დემონსტრაციების ფონზე მიიღო. ასობით ადამიანი ისლამაბადში, პარლამენტის შენობის წინ კორუფციული მთავრობის გადაყენების მოთხოვნით შეიკრიბნენ.

დემონსტრანტების ლიდერობა სასულიერო პირმა ტაჰირ-ულ ქადრიმ საკუთარ თავზე აიღო.

პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკება მოხდა. სამართალდამცავებმა, რომელთაც დემონსტრანტებმა ქვები დაუშინეს, მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს და ჰაერში რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინეს.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, მანიფესტანტები მთავრობის გადადგომას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და საარჩევნო კანონმდებლობაში რეფორმების გატარებას ითხოვენ. კვირას მსგავსი აქცია ლაჰორში გაიმართა. როგორც დემონსტრანტები აცხადებენ, ისინი ქალაქში მანამდე დარჩებიან, სანამ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს.

პაკისტანის სახელმწიფო წარმოიქმნა 1947 წელს, როდესაც რელიგიური ნიშნით ორად გაიყო ბრიტანეთის ინდოეთი. პირველი ომი ინდოეთთან ქაშმირის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო. ეს არის ჩრდილოეთი პროვინცია, რომელიც ძირითადად მუსლიმანებითაა დასახლებული, მაგრამ ადგილობრივი რაჯას ნებასურვილით გაყოფისას ინდოეთის შემადგენლობაში მოექცა. 1965 წელს მხარეებმა კვლავ მოსინჯეს ძალები. 1971 წლამდე იგი ორი ანკლავისაგან შედგებოდა -აღმოსავლეთი პაკისტანი და დასავლეთი პაკისტანი. ინდოეთის ხელშეწყობით დასავლეთი პაკისტანი დამოუკიდებელ ბანგლადეშის რესპუბლიკად გამოცხადდა.

80-იან წლებში პაკისტანის აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის წინააღმდეგ ავღანეთის ოკუპაციის დროს, საერთაშორისო ფინანსური დახმარებით იქნა წახალისებული, რაც „ცივი ომის“ დასრულებისთანავე საგრძნობლად შემცირდა. კვლავ დაძაბული ურთიერთობაა ინდოეთთან, ამას ემატება ავღანელ ლტოლვილთა პრობლემა და ეთნო-რელიგიური კონფლიქტები სინდის პროვინციაში.

# ირანს ატომური ბომბი 2014 წელს ექნება




ირანი ატომური ბომბის შექმნისათვის საჭირო ოდენობის ურანის გამდიდრებას 2014 წლის შუა პერიოდისთვის მოახერხებს. ამის შესახებ ნათქვამია ამერიკელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ირანს ატომური ბომბი 2014 წელს უკვე ექნება. აღნიშნული ჯგუფი აშშ-ს და მის მოკავშირეებს თეირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისაკენ მოუწოდებენ.

ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელება დაიწყო 1967 წელს, როდესაც აშშ-მა ირანის შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის 5 მეგავატის სიმძლავრის ატომური რეაქტორი მისცა. რეაქტორების მშენებლობაში ტექნოლოგიურ დახმარებას ირანს შემდგომში უწევდნენ გერმანია და საფრანგეთი. ირანმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას ხელი მოაწერა 1968 წელს, ხოლო რატიფიცირება გაუკეთა 1970 წელს.

# ბაშარ ასადი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს



სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ფეისალ მეკდადმა ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ბაშარ ასადი 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

მისივე თქმით, ასადი აპირებს მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ხელისუფლების გადაცემის ნებისმიერ აქტში.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ ვითარების დარეგულირების ასადისეული გეგმა არის სირიელი ხალხის სურვილისა და ნების გამოხატულება, რათა გაიმართოს შერიგების მოლაპარაკებები.

სირიის ოპოზიციის განცხადებით, ასადის გეგმა „დემაგოგიური და მიუღებელია“.

„სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა, სირიის არმიის მეთაურებთან შეხვედრისას ამერიკისა და ისრაელის სამიზნეებზე იერიშის განხორციელების ბრძანება გასცა“, — აღნიშნულის შესახებ ერთ-ერთი ირანული სააგენტო იუწყება.

სააგენტოს ცნობით, სირიის არმიის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ისაუბრეს იმის შესახებ, რომ დასავლეთის აგენტებმა, შესაძლოა, პრეზიდენტის მკვლელობა სცადონ. სირიელი სამხედრო მაღალჩინოსნების თქმით, დასავლეთის მთავრობები ამ გზით სირიაში სამხედრო ინტერვენციას აიცილებენ თავიდან. აღნიშნულზე საპასუხოდ კი ასადმა მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში წითელ და ხმელთაშუა ზღვებში ამერიკისა და ისრაელის სამიზნეებზე იერიშის განხორციელების ბრძანება გასცა.

„ეხო კავკაზას“ ცნობით, არაბულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ამ დროისათვის, ასადის რეზიდენციას ხმელთაშუა ზღვაში მდგომი ხომალდი წარმოადგენს.

# საია ბექა გოჩიაშვილისა და მისი ძმის დაკითხვის ფაქტს გამოეხმაურა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არასრულწლოვანი ბექა გოჩიაშვილისა და მისი ძმის დაკითხვის ფაქტს ეხმაურება

საია აღნიშნავს, რომ, 2012 წლის 14 იანვარს მედიაში გავრცელდა ქართველი პიანისტის ბექა გოჩიაშვილის განცხადება, რომელშიც ის საუბრობს მოწმის სახით დაკითხვისას მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბექა გოჩიაშვილი და მისი ძმა ლაშა გოჩიაშვილი ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით დაიკითხნენ 2012 წლის 8 იანვარს, ვაკე-საბურთალოს მეხუთე განყოფილებაში. ასევე ცნობილია, რომ არასრულწლოვანი (16 წლის) ბექა გოჩიაშვილის დაკითხვას ესწრებოდა მშობელი ვალერიან გოჩიაშვილი. ბექა გოჩიაშვილი თავის განცხადებაში საუბრობდა როგორც მის მიმართ ისე მისი ძმის ლაშა გოჩიაშვილის მიმართ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და მუქარაზე.

საია დამატებით დაუკავშირდა ბექა გოჩიაშვილის მამას, რომელმაც საია-სთან საუბარში დაადასტურა ბექა გოჩიაშვილის მიერ განცხადებაში დაფიქსირებული ზეწოლის ფაქტები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაკითხვისას ბექას მიმართ ადგილი ჰქონდა ზეწოლას, რაც გამოიხატებოდა „ციხეში ჩასმისა“ და „ცხოვრების გამწარების“ მუქარაში. ლაშა გოჩიაშვილის მიმართ კი დაფიქსირდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური შეურაცხყოფის მუქარა.

აღნიშნული განცხადების საპასუხოდ, დღეს, 15 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც, შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო შიდა მოკვლევა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.1 განცხადების თანახმად, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მოკვლევის მასალები საჯარო გახდება. საია მიესალმება შსს-ს რეაგირებას და მოუწოდებს მას, რომ დროულად და ობიექტურად წარმართოს საქმის შესწავლასთან დაკავშირებული პროცედურები. მოკვლევის პარალელურად კი საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

„ბოლოს გვსურს აღვნიშნოთ, რომ საია ზოგადად პრობლემურად მიიჩნევს გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის არსებულ მოდელს და თვლის, რომ ამ პროცესის გაჯანსაღებისთვის უმნიშვნელოვანესია მოწმის დაკითხვის ახალი წესის დროული ამოქმედება, რაც გადადებულია 2013 წლის 1 დეკემბრამდე. ახალი წესის ამოქმედება, რომლის შემდეგაც მოწმის მიერ ჩვენების მიცემა მოხდება მხოლოდ მოსამართლის წინაშე, უზრუნველყოფს მოწმეთა დაცულობისა და ამ პროცესზე ზედამხედველობის ხარისხის არსებითად გაზრდას“, — აცხადებს საია.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

დედა ალექსანდრა, მეუღლე ვახტანგ ლუკავა, შვილი ლუკა ლუკავა, ძმა დავით ხუჯაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მაია ნოდარის ასული ხუჯაძე**

პანაშვიდი: 15 იანვარს, აკ.წერეთლის გამზ. 76, VIII კორპუსი, I სადარბაზო, VII სართული, ბინა 23; 16 იანვარს, წმ.ნიკოლოზის სახელობის (ვორონცოვზე) ეკლესიაში 16 საათიდან 19 საათამდე.

გამოსვენება: 17 იანვარს, 14 საათზე, წმ.ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან.

ჩვენს სამეგობროს გამოაკლდა ბატონი

**რევაზ იოსების ძე შონია**



გამორჩეული თავისი სიკეთით, სტუმართმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, პროფესიონალიზმით.

ბატონი რეზო ობლად გაიზარდა, მამა აღმოჩნდა 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი. მისი ბავშვობა აფხაზეთთან, გალის რაიონთან იყო დაკავშირებული — სკოლა იქ დაამთავრა. სიცოცხლის ბოლომდე გულით ატარა თავისი კუთხის საოცარი მონატრება და აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. მან აფხაზეთიდან დევნილ არაერთ ოჯახს აღმოუჩინა დახმარება და მხარდაჭერა.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის საკავშირო კავშირგაბმულობის ინსტიტუტში განაგრძო. როგორც ნიჭიერმა და მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერმა, წლების მანძილზე სხვადასხვა თანამდებობებზე იმუშავა.

1987-90 წლებში კუბის რესპუბლიკაში რადიოცენტრში თავისი სპეციალობით საქმიანობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რესპუბლიკის რადიოცენტრის ტექნიკური განყოფილების უფროსად მუშაობდა. პარალელურად საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოთი. იყო აფხაზეთის ომის მონაწილე.

ბატონი რეზო შონიას — შესანიშნავი პიროვნების, მოსიყვარულე მამის, ერთგული მეგობრის ხსოვნას დრო ვერაფერს დააკლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 16 იანვარი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.40 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 21.00 ტ/სერ „როსელა„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „სი-ბემოლი„ 23.40 მხ/ფ „ენდე საკუთარ თავს„ (ა.ბანდერასი) 02.00 ტ/სერ „სპირალი„ 03.00 მხ/ფ „სახლი ტბის პირას„ (კ.რივზი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 2—ნაწ. 14.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ მე-13 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ მე-8 ნაწ. 19.00 ტ/სერ „ოჯახური გამოძიება„ 9 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ.„იღბლიანი მოახლე„ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა– 3„ 10 სერ. 14.45 სერ. „24 – 4„ 8 სერ. 15.45 სერ. „დამალული სიმართლე„ 10 სერ. 17.40 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 სერ. „ღვინის გზა„ 8 სერ. 00.15 მხ/ფ. „კეიპაძსი„ (ჯ.ბრიჯესი) 02.25 მხ/ფ. „ბრონქსის ისტორია„ (ჩ.პალმინტერი) 04.25 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.„ქალის მსხვერპლი„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50 სერ. „ღირსება და ამბიცია„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) 00.00, 02.30 მხ/ფ. 02.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.30 მხ/ფ „ზოლიანი დოლი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20რთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი 11.00 მგზავრები წუთისოფლისა 11.30 დრო და ტრადიციები 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი -ნიკა რაჭველი 14.30 შობის მახარობლები -ანს.„ჩოხოსნები„ 14.50, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მოკ/ფ „ჭა„ 16.45 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „ექვთიმე„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ოქროს ციებცხელება„

მაესტრო 07.00, 01.30, 03.55, 04.55, 05.55 ახალი ამბები (კოლაჟი) 07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.40, 16.30, 17.10, 18.40, 23.45, 04.30, 05.30, 06.30 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 18.55, 06.50 უკომენტაროდ, ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის „დილა„ 11.30, 22.00, 01.10 „ყოველდღიური ამბები„ 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.25 თოქშოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 02.05 თოქშოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 02.50 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 იანვარი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6582

ევრო — 2,1994

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 0,0548

**ამინდის პროგნოზი 16 იანვრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 2-5, ღამით — -5 -2.

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.




# „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



## ბექა გოჩიაშვილი: „არავისზე დაბოლმილი არ ვარ!“

მას შემდეგ, რაც ამერიკაში მოღვაწე 16 წლის ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი ქართველმა სამართალდამცველებმა დაკითხეს, მუსიკოსმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე საგანგებო განცხადება გაავრცელა და საზოგადოებას მხარდაჭერისა და გულშემატკივრობისთვის მადლობა გადაუხადა.

მუსიკოსმა ქართველი სამართალდამცავები მასზე განხორციელებულ ზეწოლაში დაადანაშაულა და განაცხადა:

— ყველას ულრმესი მადლობა მხარდაჭერისთვის. მომხდარით გაოგნებული ვარ და ძალიან მწყინს, რომ ჩემს ქვეყანაში ასე მომექცნენ. არავისზე დაბოლმილი და შურისძიებით განწყობილი არ ვარ, უბრალოდ, მინდა, რომ ასეთი რამეები ასეთი ფორმით არსად და მით უმეტეს საქართველოში არ ხდებოდეს, — წერს მუსიკოსი „ფეისბუქში“.

ბექა გოჩიაშვილმა „რუსთავი 2“-ს განუცხადა, რომ ის ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა მოწმის სტატუსით გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ოთარ მეღვინეთუხუცესს ხორავას პრემია მიანიჭეს

14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, რუსთაველის თეატრში საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა ტრადიციული ღონისძიება გამართა და დამსახურებული მსახიობები სხვადასხვა პრემიებით დააჯილდოვა.

ქართული თეატრის დღე საქართველომ უკვე 163-ედ იზეიმა. ამ დღესასწაულს საფუძველი 1850 წლის 14 იანვარს ჩაეყარა, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი, გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. 1945 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“. რუსთაველის თეატრში მოიწვიეს საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა, თავმჯდომარედ დაინიშნა აკაკი ხორავა, ხოლო მოადგილედ – შალვა დადიანი. სხვადასხვა დროს „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ თავმჯდომარეები იყვნენ აკაკი ხორავა, შალვა დადიანი, მიხეილ მრევლიშვილი, დოდო ანთაძე, დოდო ალექსიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ამჟამად კი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეა გიორგი (გოგი) ქავთარაძე.



წელს ქართული თეატრის დღეს საქართველოს შემოქმედებითმა კავშირმა – საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა რუსთაველის თეატრში აღნიშნეს ქართული თეატრის დღე და მსახიობების თენგიზ არჩვაძისა და ნოდარ მგალობლიშვილის 80 წლის იუბილე. მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ნეკა სებისკვერაძე განმარტავს:

– უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თბილისის მერია ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა დღესასწაულთან დაკავშირებით უზრუნველყოფს სახელობითი თეატრალური პრემიების გაცემას. ტრადიციისამებრ, მიმდინარე წელსაც გაიცა შემდეგი პრემიები – კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, სანდრო ახმეტელის სახელობის პრემია, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია, აკაკი ხორავას სახელობის პრემია, პეტრე ოცხელის სახელობის პრემია.

რუსთაველის თეატრში დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე შეიკრიბნენ ქართული თეატრის ცნობილი წარმომადგენლები. თეატრალური კავშირის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა და მსახიობმა გოგი ქავთარაძემ შეკრებილ საზოგადოებას გასული თეატრალური წელი წარუდგინა, შეაჯამა და ისაუბრა იმ სიახლეებზე, პრობლემებსა თუ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ქართული თეატრის ყოველდღიურობად არის ქცეული. საღამოზე განხილულ იქნა გაზეთი „ქართული თეატრის დღე“, ასევე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 16 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას საჩუქარს მოგართმევენ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ და ფულიც გექნებათ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა ნამდვილად ღირს, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ამდენი მუშაობა არ გარგებთ. **ღრიანკალი** — პრობლემას ერთ დღეში მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი საინტერესო აღმოჩნდება. **თხის რქა** — ყველა საქმეს ბილომდე მიიყვანთ, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **მერწყული** — ნურავის დაელოდებით, საქმე თქვენ მოაგვარეთ. **თევზები** — უარი არ თქვათ პასუხისმგებლობაზე, საქმეს ნუ გაექცევით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. ესპანელი აზნაური; 3. სამშენებლო მინერალი, მოწითალო ფერის ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვა; 4. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 6. ისტორიული სახელმწიფო მესოპოტამიაში; 11. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვეციის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18. სურნელოვანი პარფიუმერული ფხვნილი.

**თარაზულად**: 1. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 5. მინის ლაბორატიული ჭურჭელი; 7. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 9. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 10. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 13. გემის, თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული წესით და პირობებით; 14. ფრანგი მოქანდაკე; 15. კინოპრემია ესპანეთში; 19. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილი; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ტატიშვილმა სადიდსლემო სეზონი მარცხით დაიწყო



ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი წლის პირველ დიდ საჩოგბურთო ტურნირს, ავსტრალიის ღია პირველობას საწყის ეტაპზე გამოეთიშა — მსოფლიო რეიტინგის 72-ე ჩოგანთან, იაპონელ აიუმი მორიტასთან ორ სეტში, 3:6 3:6 დამარცხდა.

არადა, ანასთვის მატჩი შესანიშნავად დაიწყო. მან ჯერ საწყისი გეიმი მოიგო, ხოლო შემდეგ, მეტოქის ჩაწოდებაზეც ბრეიკი გაახერხა და 2:0 დაწინაურდა. თუმცა, მეტოქე დროულად გამოფხიზლდა. მორიტამ მესამე გეიმში ჯერ უკუბრეიკი შეასრულა, ხოლო 4 ნათამაშები გეიმის შემდეგ, ანგარიშიც გაათანაბრა – 2:2.

მეშვიდე გეიმში, ტატიშვილმა მეორედ დაკარგა საკუთარი ჩაწოდება და მორიტამ მშვიდად მიიყვანა პირველი სეტი გამარჯვებამდე – 6:3.

ანამ მეორე პარტიის სტარტიც ჩააგდო და იაპონელი სოლიდური უპირატესობით გაუშვა წინ – 3:0 და მატჩის შემობრუნება ველარ მოახერხა.

ანამ, რომელიც 54-ე ადგილზეა, მატჩის განმავლობაში სამი ორმაგი (მეტოქემ – არცერთი) და 24 უნებლიე შეცდომა დაუშვა (მორიტამ – 27), ეისი კი ერთხელაც ვერ მოაწოდა (მორიტამ – 3). პირველი სეტი 28 წუთი გაგრძელდა, მეორე კი 36.

შარშან ანამ ავსტრალიაში პირველი ეტაპი დაძლია და 100 სარეიტინგო ქულა მოიპოვა, თუმცა მორიტასთან მარცხის გამო მისი შენარჩუნება ვერ შეძლო და ახლა დაქვეითება არ ასცდება.

მ. ჟ.

## სოჭის ჩირაღდანი წარადგინეს

მოსკოვის სავაჭრო ცენტრ „გუმში“ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის წარდგენის საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელიც რუსმა დიზაინერ-ინჟინრებმა შექმნეს.

2014 წლის თეთრი ოლიმპიადისა და პარაოლიმპიადის ჩირაღდნები იდენტურია და განსხვავება მხოლოდ მათ ფერშია. პირველი ჩირაღდანი წითელ ფერშია გადაწყვეტილი, მეორე კი – ცისფერში.

ჩირაღდნების კონცეფცია დაფუძნებულია ქვეყნის კონტრასტულობაზე, რომელიც შერწყულია მის ტრადიციებსა და თანამედროვეობაზე. ჩირაღდნის გამოსახულებაში იკვეთება ფასკუნჯის ბუმბული, რომელიც მოგაგონებთ ცნობილი რუსული ზღაპრის პერსონაჟს.

ჩირაღდნის კორპუსი ჩამოსხმულია ალუმინის შენადნობით, ხოლო მისი სახელური დამზადებულია გამძლე პოლიმერით. ჩირაღდნის სიგრძე 95 სანტიმეტრია და 1.8 კილოგრამს იწონის. სიმძიმის ცენტი ისეა შერჩეული, რომ სირბილის დროს მოხერხებული იყოს. ჩირაღდანი მაქსიმალურად არის დაცული ქარისგან, ყინვისა და ზოგადად უამინდობისგან.

ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებს 14.000 ადამიანი.

მ. ჟ.